სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 13 ივნისი 2005 №131 (2454) ფასი 50 თეთრი

საქართველო ორწლიანი და ორწრიანი ერთა თასის ლიდერია

პირველი პირველებთან

შუქნიშანი ნოდარ ახალკაცისთვის: მხოლოდ მწვანე



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ცარიელ კარში გაიტანა

ახალკაცმა მწვანეზე გაიარა
რა საჭიროა არითმეტიკა?!

ქართულ ფეხბურთს ახალი თავკაცი ჰყავს — ნოდარ ახალკაცი. შაბათს სასტუმრო „ქორთიარდში" გამართულ რიგგარეშე ყრილობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთადერთმა და უალტერნატივო კანდიდატმა 26-დან 25 ხმა მიიღო და დღეიდან ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძლიდან ეცდება უკუღმა აბრუნებული ჩვენი ფეხბურთის წაღმა დატრიალებას

მაშ ასე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი — 29 წლის ნოდარ ნოდარის ძე ახალკაცი. ის ფედერაციის რიგით მესამე უფროსია: 1990-98 წლებში ქართულ ფეხბურთს ნოდარ ფარსადანის ძე ახალკაცი მართავდა, 1998-2005 წლებში მერაბ ჟორდანია, რომელიც ახლა დაპატიმრებულია და ამბობენ, მალე გაათავისუფლებენო.

...ყრილობა უჩვეულოდ ხანმოკლე, დაახლოებით ერთსაათიანი გამოდგა. მართალია, ყრილობაზე ყველა დამსწრემ თავისი საქმე იცოდა ანუ მანდატი რომ უნდა აეწია და ფორმალობისთვის ერთი-ორი სიტყვა ეთქვა, მაგრამ მოსამთავრებელს ასე სწრაფად თუ მოამთავრებდნენ, მაინც არ გვეგონა.

ყრილობას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე თავმჯდომარეობდა, მის აქით-იქით კი გენმდივანი ვალერი ჩოლარია, ფიფას პროგრამა „გოლის" მეთვალყურე ევა პასკიე, უეფას გენმდივნის მოადგილე ჟერარ შამპანი, უეფას ალმასკომის წევრი ჯოზეფ მიფსუდი და ფედერაციის ალმასკომის წევრები ისხდნენ. სხვათა შორის, ითქვა, რომ შაბათი ალექსანდრე ჩივაძისთვის ფედერაციაში მუშაობის ბოლო დღეაო.

ყრილობის თავმჯდომარის თქმით, შეკრებას მხოლოდ ერთი დელეგატი აკლდა. თუმც ყველა, ოცდაექვსივე ხმოსანი დარბაზში იყო. „ყრილობა უფლებამოსილია მუშაობა დაიწყოს" — მოახსენა დამსწრეთ ალექსანდრე ჩივაძემ და სიტყვა ჯოზეფ მიფსუდს დაუთმო:

„ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობას არ ვესწრებით როგორც პოლიციელები, ჩვენ თქვენ დასახმარებლად ჩამოვედით და ვიმედოვნებთ, დღევანდელი ყრილობა ფედერაციის წესდების შესაბამისად ჩატარდება. ვიცი, რომ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ერთი კანდიდატია — ნოდარ ახალკაცი, მას კარგად ვიცნობ".

მიფსუდის სიტყვას ტაში მოჰყვა, ხმოსნებმა კი ხმის დამთვლელი კომისია გიორგი რევაზიშვილის თავმჯდომარეობითა და გრიგოლ ცაავას და რევაზ ლორთქიფანიძის წევრობით დაამტკიცეს. ესეც ფორმალობა უფრო იყო, დათვლა არაფერს სჭირდებოდა და იმიტომ. თანხმობის ნიშნად მანდატის აწევას ვინლა ჩიოდა, ყველაფერი იმდენად ცხადი იყო, ხმოსნებს ხელის აღმართვაც კი ეზედმეტებოდათ.

დღის წესრიგით შემდეგი სიტყვა პრეზიდენტობის კანდიდატს ერგებოდა. ჩივაძემ დრო დაინიშნა, თუმც იქამდე მერაბ ჟორდანიას პოსტიდან გათავისუფლების თაობაზე დაწერილი განცხადება ჩაიკითხა. ყრილობამ კი მერაბ ჟორდანია ერთხმად დაითხოვა სამსახურიდან. ახალკაცს 15 წუთი ჰქონდა, რაც მან ბოლომდე გამოიყენა და თავის სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა. კანდიდატთან კითხვებისთვის ხუთი წუთიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ ახალკაცისგან პასუხი არავის არაფერზე უთხოვია და ისიც თავის

ვალერი ჩოლარია მიდის, ნოდარ ახალკაცი მოდის

ადგილს დაუბრუნდა.

ძველ ფედერაციას ბევრი ნაკლი ჰქონდა, იმედია, ახალი ახალკაცის მეთაურობით ქართული ფეხბურთის პრობლემებს მალე მოაგვარებსო — ასეთი შინაარსის იყო აფხაზეთისა და აჭარის რეგიონული ფედერაციების თავკაცების მურად ანჯაფარიძისა და ალექსანდრე ახვლედიანის გამოსვლები, ცოტაც მიხეილ ჯოჯუამ თქვა, სტუდქალაქის სტადიონზე სახლების მშენებლობა რა უბედურებააო და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის დროც მოვიდა.

ვინ არის თანახმა, ნოდარ ახალკაცი არჩეულ იქნეს ფედერაციის პრეზიდენტად — მიმართა დარბაზს ჩივაძემ. მწვანე ფერის მანდატების აფრიალება და ტაში ერთი იყო. ხმის დამთვლელი კომისიის ოქმს აღარც ჩივაძე დალოდებია და მაშინვე მოკლედ მოჭრა: „მივულოცოთ, ნოდარ ახალკაცი არჩეულია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად!" თავმჯდომარემ ახალკაცი პრეზიდიუმში მიიწვია, მას ადგილი ვალერი ჩოლარიამ დაუთმო.

ყრილობა დამთავრდა, თუმც მოგვიანებით ითქვა, რომ 26-დან ნოდარ ახალკაცმა 25 ხმა მიიღო. ერთმა თავი შეიკავა, ის მამუკა გეგუშაშვილი, საფეხბურთო კლუბ „თბილისის" დამფუძნებელი იყო:

„დღეს პრეზიდენტი ორი წლის ვადით აირჩიეს. ვნახოთ, ამ პერიოდში რას გააკეთებს ნოდარ ახალკაცი და მომავალ არჩევნებზე მას პირველი ხმა სწორედ ჩემგან ექნება".

ახალარჩეული პრეზიდენტი უმალ ჟურნალისტების ალყაში მოექცა, მისი სავარაუდო თანაგუნდელები კი მილოცვებს ვერ აუდიოდნენ.

— მადლობელი ვარ ასეთი ნდობისთვის. ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეა — თქვა ნოდარ ახალკაცმა — ვეცდები, ყველა ჩემი წინასაარჩევნო დაპირება საქმედ ვაქციო. ჩემი გუნდის წევრებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. დღესდღეობით ფედერაციაში ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე მუშაობენ და უნდა გავარკვიო, არის თუ არა ვაკანსიები. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

— ჩემი მუშაობის პრინციპი არის გამჭვირვალობა, საზოგადოებისთვის დამალული არაფერი იქნება.

— სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გარეშე 'არაფერი გამოვა. კანონის ფარგლებში ვეცდებით, ქართულმა ფეხბურთმა სახელმწიფოსგან გარკვეული დახმარება-შეღავათები მიიღოს.

ნოდარ ახალკაცი „ქორთიარდში" დიდხანს აღარ შეყოვნებულა. თანამოაზრეებთან ერთად მამის საფლავისკენ გაეშურა.

მაშ, დღეიდან და ორი წელი — ნოდარ ახალკაცი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია.

კობა ინასარიძე

ალექსანდრე ჩივაძე, ემზარ ზენაიშვილი და რომან შოთაძე

გიო ახვლედიანის სვეტი

საგლეიზერო

შაბათს, დღისით ქართული ფეხბურთის რიგით მესამე თავკაცი აირჩიეს — ნოდარ ახალკაცი-უმცროსი. კონკურენტი მას არ ჰყოლია და არც ეყოლებოდა. კონკურენტებმა დროის სხვადასხვა მონაკვეთებამდე გაძლეს და მერე ოფიციალურად შეაჩერეს საარჩევნო კამპანიები, რადგან დაატყვეს (ან, უფრო სწორად, დარწმუნდნენ), რომ ახალკაცს ხელისუფლება უჭერდა მხარს.

უჭერდა კი არა, ახალკაცი, როგორც კანდიდატი, ხელისუფლების იდეა იყო.

ოღონდაც, ახლა ამ საკითხზე არ ვწერ.

ორმა მეცხენეობით შობილმა ირლანდიელმა მილიარდერმა, ჯონ მანიემ და ჯეიპი მაკმანუსმა თავიანთი წილები ერთ წვერცანცარა ამერიკელს, მალკოლმ გლეიზერს მიჰყიდეს. ამით კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" ფლორიდელი მილიარდერის და მისი ვაჟის ხელში მოხვდა.

საზოგადოდ, ამერიკაში ყველა კლუბი ვილაც ერთი კაცისაა ხოლმე, ევროპაში კი ეს ხშირი არ არის. თუ არის და, ის ერთი კაცი ამერიკელი მილიარდერი არ გახლავთ.

ის, რასაც გლეიზერი აპირებს „მანჩესტერში", „ოლდ ტრეფორდის" გაყიდვით დაწყებული, ბილეთებზე ფასების ზრდით დამთავრებული, აუცილებლად დაგვანახებს, თუ როგორ შეუძლია გადაასხვაფეროს ერთმა კაცმა მიჩვეული, ტრადიციული სამყარო.

ეს გადასხვაფერება ლამაზისა და რომანტიკულისკენ სვლას სულაც არ ნიშნავს. „მანჩესტერი" ეგებ უფრო მდიდარი კლუბიც შეიქნეს, მაგრამ ეს გლეიზერი მისღგომია და, ჯერ საქმე რომ არც დაუწყია, პირდაპირ ჯიგარს აცლის. ჯიგარი მეათეხარისხოვანი ამბავიაო.

ცხადია, გლეიზერს თავის სასარგებლოდ მიჰყავს საკლუბო საქმე, ხალხზე არ ფიქრობს და ვერც იფიქრებს. იმიტომ, რომ ბატონ-პატრონია და ბატონები კი ხალხზე იმდენად ფიქრობენ, რამდენადაც ის სჭირდებათ.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ერთი კაცი ასეთი რამის სათავეში — სახიფათოა. იმ მხრივ, რომ რაც გიყვარდა, იმის ისე შელებვას შეეცდება, როგორც თვითონ უნდა და მერე დაგიწყებს მტკიცებას, ასე ჯობს, ეს შეიყვარეო.

არ ჯობია.

მაგრამ რას უზამ, ძალა აღმართს ხნავს. აღმართებიც აღარ დარჩენილა ბევრი. პირდაპირ ხნავს.

ნორმების საკითხი და უახლესი ისტორია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მეხუთედ აირჩიეს და ეს მართლაც განსაკუთრებული ამბავია — ნოდარ ახალკაცს ყრილობაზე არც კონკურენტი ჰყავდა და არც ოპოზიცია. კარგი იყო. ეს თუ ცუდი, პასუხის გაცემა ძალიან ადვილია, მაგრამ რას მოუტანს ეს ქართულ ფეხბურთს, აწი გამოჩნდება და სანამ ცხელ ამბავს გავარჩევდით, ის ოთხი არჩევნებიც გავიხსენოთ, მანამდე რომ გაიმართა.

ნოდარ ახალკაცი და ნოდარ ახალკაცი

ეპოქის დასაწყისი

ეროვნული მოძრაობა, ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ტალღა — ყველაფერმა ამან მოიტანა 1990 წლის 15 თებერვალი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

საჭიროა თუ არა ქართული გუნდების თამაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში? პოლემიკა 1989 წლის ზაფხულიდან გაჩაღდა გაზეთ „ლელოში" და ამან მთელი ქართული საზოგადოება მოიცვა. ყრილობამდე სპორტულ ჩინოვნიკებსა და ფეხბურთის სპეციალისტებს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ხვდებოდნენ, მაგრამ მათი პოზიცია კატეგორიული არ ყოფილა. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას მიაჩნდა, საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობა-არმონაწილეობა ფეხბურთის ფედერაციამ და სპეციალისტებმა გადაწყვიტონო.

ყრილობა ჭადრაკის სასახლეში გაიმართა და მას 391 დელეგატი დაესწრო. სხდომას ფედერაციის მომავალი გენმდივანი დავით კვინიკაძე, ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ომარ გოგიაშვილი და სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ იმნაძე ხელმძღვანელობდნენ.

ბორის პაიჭაძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან არგასვლას დაუჭირა მხარი, მანუჩარ მაჩაიძემ და ილია დათუნაშვილმა კი პირიქით. მოკლედ, კამათი გაჩაღდა, ზოგი არც მწვადს წვავდა და არც შამფურს და დარბაზიდანაც ხმა გაისმა: სად არის ახალკაცი?

— როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ქვეყანაზე ზოგი ისეთი საგანია, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, ზოგიც ისეთი, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. მოდით, საქართველოს კარსმომდგარი თავისუფლება დავინახოთ და ფეხბურთის საქმეც ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენს ხალხს ეკადრება — ასე დამთავრა ახალკაცმა სიტყვა და ჭადრაკის სასახლე ტაშით შეზანზარდა, შემდეგ კი ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ქართული გუნდები აღარ ითამაშებდნენ და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გაიმართებოდა.

და ვინ იქნება დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი? კანდიდატი ექვსი იყო: ახალკაცი, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ ბარქაია, ზურაბ პეტრიაშვილი და ილია დათუნაშვილი. თუმც მაჩაიძემ, ბარქაიამ, პეტრიაშვილმა და დათუნაშვილმა მალევე მოხსნეს კანდიდატურები, ასათიანი კი ასეთი სიტყვით გამოვიდა: „ვეტერან ფეხბურთელთა შეკრებაზე გადაწყვიტეს, რომ მე უნდა ვყოფილიყავი პრეზიდენტი ამ ფედერაციისა, ვიფიქრე, ალბათ, ერს ასე სჭირდება, ბევრი საქმეა გასაკეთებელი. იმედი მქონდა, რომ საქმეს თავს გავართმევდი. ახლა ვითარება იცვლება, გვიპირისპირებენ სახალხო ფრონტს, თუ ადრე ხალხს ცენტრალური კომიტეტი ნიშნავდა, ახლა სახალხო ფრონტი ირჩევს... თუ ვინმეს ჰგონია, რომ ახალკაცს ცუდად ვიცნობ, ცდება. რვა წელი ვიმუშავეთ ერთად... თუ მას მიაჩნია, რომ ამ დიდ საქმეს გაუძღვება, დამითმია პრეზიდენტის პოსტი".

ყრილობის დელეგატთაგან ხუთმა თავი შეიკავა, ექვსი წინააღმდეგი იყო, დანარჩენებმა ხმა ახალკაცის პრეზიდენტობას მისცეს.

დამტვრეული სკამი

ფედერაციის მესამე ყრილობა და პრეზიდენტის მეორე არჩევნები 1994 წლის 17 სექტემბერს გაიმართა ეროვნული სტადიონის სხდომათა დარბაზში.

სფფ უკვე ფიფა-უეფას წევრი იყო, ქართულმა გუნდებმა ევროტურნირებზე ითამაშეს, ხოლო ნაკრებებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. წინ წავიწიეთ, მაგრამ გაჩნდა უკმაყოფილებაც ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ. თუმც ახალკაცის ოპოზიცია მოუმზადებელი შეხვდა ყრილობას და პრეზიდენტის არჩევნებს. ამ ოპოზიციას მკვეთრად გამოხატული არც ლიდერიც ჰყავდა და არც საკუთარი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე — ახალკაცს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, თბილისის „დინამო" და რამდენიმე ვეტერანი ფეხბურთელი უპირისპირდებოდნენ.

ასათიანმა თქვა, ფედერაციას ყრილობაზე 26 დელეგატი წარმოადგენს, დაჭრავებულთა დელეგატობა კი არ შეიძლებაო, იმავე აზრის იყო მანუჩარ მაჩაიძეც. განსაკუთრებით აქტიურობდა „დინამოს" დირექტორატის წევრი ვაჟა ჟვანია, ის ფედერაციას იმაში ადანაშაულებდა, რომ გია გურულის სატრანსფერო თანხის ათი პროცენტი მიითვისაო. ჟვანია პრეზიდიუმშიც კი ავიდა და ფედერაციის გენმდივან დავით კვინიკაძეს გვერდით დაჯდა, რამაც კვინიკაძე აღაშფოთა, მაგრამ ჟვანია მალევე გაეცალა იქაურობას, ეს ყრილობა კომკავშირულ კრებას ჰგავსო.

ერთი დეტალიც — იმ დღეს, 17 სექტემბერს ავთანდილ ჭკუასელის დაკრძალვა იყო 14 საათზე და ყველას ეგონა, რომ ყრილობის დელეგატები უკანასკნელ გზაზე გააცილებდნენ სახელიან ფეხბურთელს, ეს ყრილობის დასაწყისში კვინიკაძემაც კი თქვა, მაგრამ ყრილობა 14 საათისთვის მხოლოდ კახი ასათიანმა და ოცამდე დელეგატმა დატოვეს...

მათი და ჟვანიას წასვლის შემდეგ ყველაფერი გაიოლდა, ფედერაციის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭიპაშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად ახალკაცი დაასახელა. ახალკაცი სიტყვით გამოვიდა და თქვა, ჩემს წინააღმდეგ ასეთ გალაშქრებას ველოდი, მაგრამ სფფ-ის საქმეში ჩარევა არავის შეუძლია ფიფა-უეფას წესებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პირველ ყრილობაზე დასახული ამოცანა შეასრულა და ახლა ნება თქვენია, ვის აირჩევთ პრეზიდენტად. იცოდეთ, სავარძელს არ ვებღაუჭები და ნებისმიერს დავუთმობ იმ ჩემს ნახევრად დამტვრეულ სკამსო.

ყრილობას 167 დელეგატი ესწრებოდა და ახალკაცის კიდევ ოთხი წლით პრეზიდენტობას მხარი 129-ამ დაუჭირა.

ყრილობის შემდეგ „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ „სარბიელს" უთხრა: „ყრილობა თავიდან ბოლომდე ფარსი იყო. სწორედ ამიტომ დავტოვე იგი პროტესტის ნიშნად. არც მოხსენება წაუკითხავთ, არც კამათი ყოფილა. მოკლედ, ყველა ხერხებით ცდილობდნენ თავიანთი მიზნების მიღწევას".

კედელი დაინგრა, მაგრამ როგორ?

ფედერაციის მომდევნო არჩევნებამდე ნოდარ ახალკაცმა ვერ მიატანა — 1998 წლის 25 იანვარს გულის შეტევით გარდაიცვალა. ახალკაცს უკვე უფრო მძლავრად და ორგანიზებულად უპირისპირდებოდნენ, მისი დაღუპვის შემდეგ კი ოპოზიციის შანსები ერთიორად გაიზარდა, რომლის რიგებში მნიშვნელოვანი ფიგურები კახი ასათიანი და დავით ყიფიანი იყვნენ.

ყიფიანმა ეროვნული ნაკრები 1997 წელს ჩაიბარა, გუნდს ორი წაგება, ნული ქულა ჰქონდა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ათი ქულით ჩაამთავრებინა. ყიფიანის მუშაობა ფედერაციის აღმასკომმა დადებითად შეაფასა, მაგრამ ნაკრებს მაინც ჩამოაშორა ის. ყიფიანი ამბობდა, ფედერაცია ნაკრებში მუშაობისას ხელს მიშლიდა, ჩემი, როგორც მწვრთნელის განადგურება უნდოდაო.

ასათიანმა, როგორც სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო ბერკეტების გამოყენებით სცადა ახალკაცის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმც სფფ-ს საქმეებში ჩარევას ფიფა-უეფა არავის აპატიებდა. მაგრამ ფედერაციას საგადასახადო ინსპექცია მაინც ჩაუჯდა და საქმე პროკურატურას გადასცა.

1998 წლის 23 ოქტომბერს ფედერაციის IV ყრილობამ და პრეზიდენტის არჩევნებმა რკინიგზელთა კულტურის სახლში დახლოებით რვა საათს გასტანა. ეს ყრილობა აღარ ჰგავდა წინამორბედებს, გაცილებით უფრო მოქნილი და შედარებით დემოკრატიული იყო, თუმც, თუ კულუარულ ინფორმაციას დავეყრდნობით, ფულმა ერთობ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ახალკაცის ფედერაციის ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოითაფლა.

ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა ასათიანმა განაცხადა, ფედერაციის სატელევიზიო კონტრაქტებში უვიცობით თუ შეგნებულად ჩვენმა ფეხბურთმა მინიმუმ 4 მილიონი გერმანული მარკა დაკარგა, ფედერაციას საფინანსო ბირჟაზე მილიონი დოლარი უტრიალებია, მოგება კი მხოლოდ 31 ათასი დოლარი აქვს ნაჩვენებიო.

ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო, ვის ბანაკში აღმოჩნდებოდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე. ყოყმანის შემდეგ ის ახალკაცისეული ფედერაციის მხარეს აღმოჩნდა და ასათიანის სიძის, „დინამოს" პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას საწინააღმდეგოდ წამოაყენა კანდიდატურა — პრეზიდენტობის ფავორიტებიც ისინი იყვნენ.

ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში 235-მა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. ხმები ასე განაწილდა: რამაზ გოგლიძე — 23, ილია დათუნაშვილი — 44, ალექსანდრე ჩივაძე — 56 და მერაბ ჟორდანია — 112. საჭირო შეიქნა მეორე ტური, მაგრამ ამხელა სხვაობის შემხედვარე ჩივაძემ კანდიდატურა მოხსნა და ჟორდანიას გაპრეზიდენტება მიულოცა.

ჟორდანია პატარკაციშვილის და სასამართლოს წინააღმდეგ

გავიდა ოთხი წელი და მეტოქე ჟორდანიასაც გამოუჩნდა — დავით პეტრიაშვილი, ვინც ახალკაცის ფედერაციაში საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, მაგრამ ის არ იყო „კონტრრევოლუციონერთა" კადრი, პეტრიაშვილი ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილის კაცი იყო, იმ პატარკაციშვილისა, ვისაც 2001 წელს კახა თარგამაძემ და ედუარდ შევარდნაძემ თბილისის „დინამო" ჩუმად, ყოველგვარი ტენდერის გარეშე მიჰყიდეს.

ფედერაციის პრეზიდენტად ჟორდანიას მოსვლამ ვითარება ვერ შეცვალა — ქართული კლუბები და ნაკრებები კვლავ ფლავდებოდნენ მოკლედ, პეტრიაშვილი საკმაოდ წონიანი არგუმენტებით იყო შეიარაღებული, მაგრამ პატარკაციშვილი მის წინასაარჩევნო კამპანიაში დიდ ფულს რომ არ ხარჯავდა, ესეც ჩანდა.

ფედერაციას აღმასკომმა ბაკშვია ფეხბურთის სამი ხმის უფლება ჩამოართვა, ამ ხმების კი პეტრიაშვილს ეიმედებოდა და დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში ფედერაციის აღმასკომის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. სასამართლომ პეტრიაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მეტიც, ჟორდანიას მზარდამჭერ ვეტერანებს ყველა ხმა გაუუქმა. ჟორდანიამ ფიფაში აცნობინა ფაქსი, ჩვენს საქმეებში უხეშად ერევიანო და ფიფას რეაქციამაც არ დააყოვნა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილება უნდა აღსრულდესო. სასამართლოში საჩივარი შეიტანა ჟორდანიას კიდევ ერთმა მეტოქემ ვაჟა ჩხაიძემ. ყრილობაზე მანდატები უკანონოდ რიგდებაო და სასამართლომ ჩხაიძის მოთხოვნაც დააკმაყოფილა.

ჟორდანიას ფიფა-უეფას იმედი ჰქონდა და მძლავრი პიარული ნაბიჯიც გადადგა — ყრილობამდე ხუთი დღით ადრე თბილისში უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ჩამოვიდა, ის ჟორდანიას სტუმარი იყო და უეფას გრანტით აშენებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობის გახსნაზე ქვეყნის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მივიდა.

ყრილობა და არჩევნები 2002 წლის 24 აგვისტოს გაიმართა „მეტეხი პალასში", მანდატი 61 დელეგატს ერგო, ყრილობაზე მაოგან 57 გამოცხადდა. „მეტეხში" მივიდა საარმსრულებლო პოლიციაც, მაგრამ სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები კერ თუ არ შევიდნენ. მოკლედ, სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა, რაც პეტრიაშვილის მარცხს მოასწავებდა ჟორდანიას გასამარჯვებლად მინიმუმ 29 ხმა სჭირდებოდა და მან 38 მიიღო, პეტრიაშვილმა კი ოცი ხმების დათვლა აღარ ისურვა. ჟორდანიას გამარჯვება მიულოცა და იქაურობას გაეცალა.

ნორმების საკითხი

ნოდარ ახალკაცს მოწინააღმდეგე და მაკრიტიკებელი ცოტა არ ჰყავდა, მაგრამ ის ხალხს უყვარდა, ახალკაცის ხელში თბილისის „დინამომ" დიდ წარმატებებს მიაღწია. ხელისუფლებამ ფეხბურთის ფედერაციის პოსტი მის ვაჟს, 29 წლის ნოდარ ახალკაცს უბოძა — რა უნდა დავარქვათ ამას?

როგორც უნდა იყოს, ეს მოქმედების ნორმების საკითხია, ხელისუფლებამ ამ ნაბიჯით თავისებური სქემა მოახვია თავს არა მხოლოდ ქართულ საფეხბურთო სამყაროს, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებას.

გაიმარჯვებს ასეთნაირად დაწყებული საქმე? ყოველ შემთხვევაში, იმედი არის — არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე.

დავით თავართქილაძე

სიონმა დვალი ყველას დაასწრო

თბილისის „დინამოს“ 20 წლის თავდამსხმელი ჯაბა დვალი მომავალ სეზონს ბოლნისის „სიონში“ შეხვდება. ეს ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა თავად ფეხბურთელმა კი დაგვიდასტურა.

ამბობდნენ, დვალის გადაბირებას თბილისის „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „ტორპედოც“ აპირებენო, მაგრამ, როგორც გითხარით, ყველას „სიონმა“ დაასწრო.

მე-16 ეროვნულ ჩემპიონატში ცხრა გოლის გამტანი ახალგაზრდა ფორვარდი, ვინც „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი კახა ცხადაძის გამწვრთნელების მერე დაკარგა, ბოლნისში იჯარით ითამაშებს...

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ „სიონში“ ვითამაშებ. ბოლნისელებთან ზამთრამდე გავაფორმებ ხელშეკრულებას, მერე კი „დინამოში“ დავბრუნდები — გვითხრა გუშინ ჯაბა დვალმა.

— „სიონს“ პირობებზე უკვე შეუთანხმდი?

— თითქმის.

— „ლოკომოტივის“ და „ტორპედოს“ ინტერესის შესახებ რას იტყვი?

— ვერაფერს, რადგან არა მგონია, გადაწყვეტილება შევიცვალო.

— თან „სიონში“ შენი ყოფილი მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი დაგხვდება...

— ეგეც ბევრს ნიშნავს ჩემთვის. მთლად უცხო გარემოში არ მოვხვდები.

ძაბა შალამბერიძე

ზესტაფონი: მინუს სამი ნაღდი, სამიც საეჭვო

„ზესტაფონი“ 20 ივნისს იკრიბება, იმავე დღეს შედგება გუნდის კრება, სადაც გასულ სეზონს შეაჯამებენ და, ჩანს, რამდენიმე ფეხბურთელს გაუშვებენ. როგორც შევიტყვეთ, ფეროელებმა სამი ფეხბურთელი უკვე ტრანსფერზე დააყენეს — ზაზა ზირაქიშვილი, ვალტერ გუჩუა და ლევან შავგულიძე.

თუმცა, ეს ყველაფერი როდია: თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ზესტაფონს“ ასევე დატოვებენ მიხეილ ბესარაშვილი და ორი მეკარე — ზურაბ ქვაჩახია და გიორგი სომხიშვილი.

სავარაუდოდ, იმერლებს კვლავ თემურ მახარაძე გაწვრთნის. ერთიცაა, ეს ცნობები არაოფიციალურია, „ზესტაფონში“ ცვლილებები კვლავაც მოხდება, ზოგი წავა, უფრო ბევრი კი მოვა: ფეროელები ხომ მომავალი სეზონს დიდი ამბიციებით ელიან...

ლუკა თალაძგაძე

სპარტაკი: გვიჭირს, მაგრამ... კახეთს ბუმი და დინამოელები უნდა

ოთარ კორღალიძე



ბაბა ლეონიძის ფოტოები

როლანდ ჩხაიძე

უმაღლეს ლიგაში 16-გუნდიანობა თითქმის გადაწყვეტილია — ეს პროექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის გეგმაშია, რეგიონებში ფეხბურთი უნდა აღორძინდეს და არეალი უნდა გაფართოვდესო. შედეგად, მომავალ სეზონს ზედა ეშელონში დაიწყებენ პირველლიგელები — თბილისის „სპარტაკი“ და თელავის „კახეთი“.

„სპარტაკს“ ერთი ხანობა მეორე ადგილიც ეკავა პირველ ლიგაში, თუმც მეორე წრეში „ამერმა“ ზესვლა მოაწყო, თამაშს თამაშზე იგებდა და ბესიკ შეროზიას გუნდს შანსი არ დაუტოვა. „სპარტაკის“ პრეზიდენტი როლანდ ჩხაიძე ოპტიმისტურად უყურებს მომავალ სეზონს, ფინანსურად ჩვენც გვიჭირს, მაგრამ სხვა ქართული კლუბების ფონზე უღარიბესები ნაღდად არ ვართო.

„16-გუნდიანობა ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ დავუშვათ, ასე მოხდა: „სპარტაკში“ 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭები გვყავს, რომლებმაც გუნდიდან წასულები უნდა შეცვალონ. ფეხბურთელი რომ სამი წლის განმავლობაში ერთ დონეზეა გაჩერებული, იმის გუნდში დატოვებას აზრი არა აქვს. სეზონი ახლახან მორჩა და ცვლილებებისთვის არ ჩამოვყალიბებულვარ. ჩვენ კავშირები გვაქვს გერმანულ „კიოლნთან“ — შარშან იქ ჯაბა ბებუა მივავლინეთ სტაჟირებაზე, ახლა კი დავით მაღლაფერიძე გავუშვით. ისინი ერთი წელი იქნებიან კიოლნში, დონეს აიმაღლებენ“.

როლანდ ჩხაიძეს ნოდარ ახალკაცის ეიმედება, ფაქტობრივად, ნულიდან იწყება ქართული ფეხბურთის განვითარებაო. „სპარტაკის“ პრეზიდენტი ეთანხმება 16 გუნდის ვარიანტს, რაიონებში მასობრივად გაიზრდებიან მოთამაშეები, სტიმული მივეცით და ეს კარგი კონვეიერი იქნება სხვადასხვა ასაკის ნაკრებებისთვისო.

„რა თქმა უნდა, სუპერკლუბობაზე არ ვაცხადებთ პრეტენზიას, მაგრამ „სპარტაკი“ ერთ-ერთი ახალგაზრდული გუნდი იქნება. შესაძლოა, ახალი სეზონიდან თენგიზ სულაქველიძის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩავატაროთ საშინაო მატჩები. ეს თავად ბატონმა თენგიზმა შემოგვთავაზა. იმ აკადემიაში ჩინებული მინდორია“ — გვითხრა როლანდ ჩხაიძემ.

ახლა თელავში „გადავინაცვლოთ“: „კახეთის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე ამბობს, უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსმა რაიონის ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები ისე გაახარა, თელავში საფეხბურთო გამოღვიძება გარანტირებულიაო. „კახეთს“ ქალაქის გამგეობა პატრონობს, თუმცა კორღალიძე ამბობს, კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილიც დაინტერესებულია კლუბით და ჯერ არ ვიცი კონკრეტულად რომელი, მაგრამ ბიზნესმენებიც შეგვეშველებიანო.

ოთარ კორღალიძე: „ნოდარ ახალკაცმა საგანგებოდ თქვა, კახეთში ფეხბურთი უნდა აღორძინდესო. ახლა ისღა დაგვრჩენია, ახალი სეზონისთვის მოვემზადოთ და გუნდი გავაძლიეროთ. 20 ივნისს შევიკრიბებით და, ალბათ, გრიგოლეთში გავემგზავრებით, მაგრამ რამდენად ჩავეტევით მოსამზადებელ პერიოდში, ამას ვერ გეტყვით — როგორც გავიგე, ახალკაცს 15 ივლისს სურს სეზონის დაწყება.

...სტადიონი კარგ მდგომარეობაში გვაქვს. 27 ივნისს გივი ჩოხელის სახელობის თასის ფინალია, მერე კი პატარ-პატარა სამუშაოები დაიწყება და ეგებ, მინდორი იდეალურიც კი იყოს.

...„დინამოდან“ სამი ფეხბურთელის გადმოყვანა გვინდა. ერთ მათგანს უკვე ველაპარაკე და წინასწარი თანხმობაც მივიღე, დანარჩენ ორს კი ამ დღეებში შევხვდები. გვსურს „თბილისის“ მცველი ბესიკ მიქიაშვილიც, თუმცა მისი პოზიცია არ ვიცი, ეგებ უკეთესი ვარიანტებიც აქვს. იმას კი გეტყვით, რომ ახალგაზრდების შეძენა გვინდა, 30-32 წლის ფეხბურთელი არ გვჭირდება“.

ილია ნანოგაყვილი

კახა კალაძის ტრანსფერის თაობაზე მნიშვნელოვანი სიახლე არ არის, თუმც საინტერესოდ გვეჩვენა ესპანური „ბილდაოს“ მცველ ასიერ დელ ორნოს აგენტ ხოაკინ ბარჩენას კომენტარი. მოგეხსენებათ, დელ ორნო მარცხენა მცველია და ამას წინათ „ჩელსის“ თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ თქვა, ესპანელი თუ ვიყიდეთ, კალაძეს შევეშვებით, რადგან ორი მარცხენაფლანგელი არ გვჭირდებაო. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, ლონდონელები ორივეს შეიძენენ...

დელ ორნოც და კალაძეც: ყველაფერი აქეთკენ მიდის



ბარჩენას თქმით, დელ ორნოს „ჩელსიში“ გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია, არავითარი შეფერხება აღარ არსებობს. ლონდონელებს ასიერი 12 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

„ვიცი, რომ „ჩელსი“ კახა კალაძესთანაც გააფორმებს კონტრაქტს და ეს ჩვეულებრივი ამბავია, ინგლისელებს უნდათ, ყველა პოზიციაზე ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავდეთ. დღეს კი მათი ერთადერთი მარცხენა მცველი ფრანგი უილიამ გალასია, რომელიც ჟოზე მაურინიუს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და თითქმის დარწმუნებით ვიცი, რომ მას ამ ზაფხულსვე გაყიდიან“.

საიდან იცის ამდენი დელ ორნოს აგენტმა, ნაღდად ვერ გეტყვით. იგი ისე ლაპარაკობს, თითქოს „ჩელსის“ შინაურ საქმეებში კარგად ერკვეოდეს.

კალაძის ლონდონში გადასვლა-არგადასვლა მართლაც ღღეების ამბავია. „ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი მალე ისევ ჩავა მილანში აღრიანო გალიანისთან მოსალაპარაკებლად. „მილანს“ „ჩელსის“ მიერ შეთავაზებული 4 მილიონი გირვანქა კი ეიაფა, მაგრამ ლონდონელებს თუ მართლაც უნდათ კალაძე, ჯიბეზე ხელის გაკვრა არ დაეზარებათ.

ილია ნანოგაყვილი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

მანამ, სანამ ისურვებ

რეჰაგელს გაგაცისი გადაეფარა



უკრაინასთან 0:1 წაგების მერე ხმა გავრცელდა, ოტო რეჰაგელი საბერძნეთის ნაკრებიდან მიდისო, რამაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვასილის გაგაცისი აღაშფოთა.

— ამ ხმებს არანაირი საფუძველი არა აქვს. რეჰაგელი დარჩება საბერძნეთის ნაკრებში მანამ, სანამ ისურვებს — განაცხადა გაგაცისმა და მწვრთნელს ერთხელაც აგრძნობინა, არაფერი გემუქრებაო.

რაღა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც: რეჰაგელმა ბერძნები შარშან არნახულ სიმაღლეზე აიყვანა — ევროპის ჩემპიონობა მოაგებინა და ევროპის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს.

ძაბა შალამბერიძე



„ლივერპულის“ ქომაგთა გარდა გუნდის ჩემპიონთა ლიგაში დაშვება ბევრ სხვასაც გაუხარდა

ვინ რა მოიგო წითლების მოგებით?

„ლივერპულის“ ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპზე დაშვება ფეხბურთისთვის, ალბათ, კარგია, მაგრამ ადამიანთა ერთი ნაწილისთვის მეტისმეტად ცუდი გახლავთ და ეს სრული სიმართლეა.

ისე, „სარაგოსა“ უნდა შეგვეცოდოს. 2000 წელს, როდესაც მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგაში კი გაიმარჯვა, მაგრამ პრიმერადივიზიონში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ დიდი ფიქრის გარეშე გამოაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მაინც „რეალი“ მიიღებდა. „სარაგოსას“ ბედთან შეგუებალა დარჩენოდა, რადგან ასეთი გადაწყვეტილებით ესპანელები პრობლემებს უეფასაც არიდებდნენ და თავადაც იცილებდნენ თავიდან.

ინგლისში კი ახლა აი, რა ხდება: „ლივერპული“, „ევერტონი“ და „მანჩესტერი“ შესარჩევ ეტაპებს თუ გაივლიან და შეჯიბრების ჯგუფურ სტადიაზე „არსენალსა“ და „ჩელსის“ შეუერთდებიან, ჩვენი ჩამონათვალის ბოლო ოთხი გუნდი იმაზე ნაკლებ შემოსავალს მიიღებს, ვიდრე „ლივერპულის“ გარეშე მიიღებდა. ერთი სიტყვით, ინგლისისთვის განკუთვნილი თანხა „ლივერპულის“ დამატების შემდეგ ოთხად კი არა, ხუთად უნდა გაიყოს და მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ „ლივერპულს“ ყველაზე ცოტა დარჩება, სხვებს წილი მაინც შეუმცირდებათ.

მეორე მხრივ, როგორც „ნიუკასლის“ გამოცდილება გვაჩვენებს, შესარჩევი ეტაპების გავლა ინგლისურ გუნდებს სულაც არ აქვთ გარანტირებული. „ევერტონს“, მაგალითად, მესამე შესარჩევ ეტაპზე განთესილთა შორის მოხვედრის პატივი არ ერგო და ამიტომ იოლად შესაძლებელია, ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე შეხვდეს. თანაც, მას შეიძლება „ლივერპულზე“ მეტადაც გაუროულდეს საქმე, ვინაიდან, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ლივერპულელებს ორი რაუნდი უკვე გავლილი ექნებათ და ფორმაში იქნებიან, ხოლო „ევერტონისთვის“ ეს ეტაპი პირველი იქნება.

ეს ყველაფერი აუცილებლად აისახება სვენ გორან ერიკსონის მუშაობაზეც, რადგან ინგლისის ნაკრების წამყვან ფეხბურთელ სტივ ჯერარდს და აგრეთვე ჯეიმი კარაგერს, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ თორმეტთვიანი სეზონი გამოუვათ, მაგრამ უთუოდ იქნება ის ხალხიც, ვისაც „ლივერპულის“ ამბავი ხელს აძლევს.

უპირველეს ყოვლისა, მოიგო თავად შეჯიბრებამ, ჩემპიონთა ლიგამ, რომელმაც თავიდან აირიდა ისეთი სისულელე, როგორიცაა უამრავი წარუმატებელი გუნდის თავმოყრა, ხოლო საკუთრივ ამ თასის მფლობელის ტურნირს გარეთ დატოვება.

მოიგეს პირველ ეტაპზე მონაწილე გუნდებმა. ისინი, როგორც წესი ევროპულ ფეხბურთს ვერანაირ კვალს ვერ ჩენენ. გასულ სეზონში, მაგალითად, მხოლოდ სლოვენიური „ნოვა გორიცა“ და ირლანდიური „შელბურნი“ მივიდნენ მესამე შესარჩევ ეტაპამდე, მაგრამ ის, ვისაც კენჭისყრა „ლივერპულს“ შეახვედრებს, საშინაო თამაშიდან ხეირს ნახავს — სტადიონზე ხალხიც მიუვა და ტელეტრანსლაციასაც გაყიდის.

ასეთივე პერსპექტივა აქვთ მეორე ეტაპის მონაწილე განუთესავ გუნდებს ანუ იმათ, ვისაც „ლივერპული“ შეიძლება შეხვდეს. ოღონდ, ერთი პირობით — ისინი მესამე ეტაპზე ველარ გავლენ.

შემდეგ, მესამე ეტაპზე, უეფას წესებიდან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული მერსისაიდული დერბი, რითაც მასმედია უკვე სარგებლობს და აყიოტაჟს იწყებს. ცხადია, ამ წყვილს ძალიან ბევრი მიესალმებოდა.

გარდა ამისა, ბუნებრივია, ყველა მსხვილ ევროპულ სატელევიზიო კომპანიას უნდა, „ლივერპული“ რაც შეიძლება შორს წავიდეს. მიზეზი ის არის, რომ ამ კომპანიებს მათი თანამემამულე გუნდები იმდენ შემოსავალს ნამდვილად ვერ მოუტანენ, რამდენსაც „ლივერპული“ მოუტანთ, ხოლო ლივერპულელთა მთელი საგა 25 მაისის დრამატული ფინალით, ჩინებული საქონელია გასაყიდად.

ხოლო ის ინგლისური გუნდები, რომლებიც „ლივერპულმა“ თავისი ლიგაში ჩამატებით „შეავიწროვა“, სულაც არ არის გამორიცხული, საბოლოო ჯამში მოგებულები დარჩნენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უეფას რეიტინგში ინგლისი ძალიან ახლოსაა პირველ ადგილთან.

საბოლოოდ კი არის ერთი ჭეშმარიტება — ის, რაც „ლივერპულს“ გადახდა, აყიოტაჟად და ხმაურად ღირს.

ფილიპ ბროუნგოლი



სტივენ ჯერარდმა შესაძლოა, ვერც დაისვენოს

გართობა მერსისაიდულ

ხუმრობით უკვე ხუმრობენ...



რაფაელ ბენიტესს გეგმები შეეცვალა

აი, სეირი! „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგაში დაუშვეს, სადაც მონაწილეობა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან უნდა დაიწყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ზაფხულს არსებობს მისი და თანაქალაქელი „ევერტონის“ ევროდერბის თეორიული შესაძლებლობა.

დიახ, „ლივერპულის“, როგორც ლიგის გამარჯვებულის ანუ თასის მფლობელის დაშვებამ უპრეცედენტო შედეგი მოიტანა: ინგლისს შეჯიბრებაში ხუთი გუნდი ეყოლება, ოღონდ ამ ხუთეულიდან „ლივერპულს“ თანამემამულეთა თავიდან არიდების მექანიზმი ვერ დაეხმარება. მოკლედ, „ლივერპულის“ შემთხვევაში, წესი ერთი ქვეყნის ორი გუნდის დაშორიშორების შესახებ, არ იმოქმედებს და სწორედ ამიტომაც გახალისდა ბრიტანული საზოგადოებრიობა, მერსისაიდული დერბის შესაძლებლობამ აღაფრთოვანა.

თუმცა, ლიგაში ასე ადრიანად დაშვებამ, „წითლების“ მწვრთნელ რაფა ბენიტესს საზაფხულო გეგმები აურია. კერძოდ, იაპონური ტურნე რომ ჩაიშალა, ეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მაგრამ საფრთხის წინაშე შვეიცარიული შეკრებაც დადგა. მიზეზი: ლივერპულელების ფორმაში ყოფნა დროზე ადრე, ზაფხულშივე სჭირდებათ და მომზადების განსხვავებული გზები ექნებაო გამოსაძებნი.

გარდა ამისა, ამავე ზაფხულს, აგვისტოში, „ლივერპულს“ ევროპის სუპერთასზე მოუწევს თამაში, თუმცა, დეკემბრის ანუ საკონტინენტთაშორისო თასის ამბავი როგორ იქნება, ამ ეტაპზე უცნობია.

თუმცა, დავუბრუნდეთ მერსისაიდული დერბის თეორიულ შესაძლებლობას. ეს ამბავი შესაძლოა, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხდეს, და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საფეხბურთო საზოგადოებრიობა გვარიანადაც გაართოს, მაგრამ „ევერტონის“ 31 წლის ნახევარმცველი ლი კარსლი ხალხის ასეთ გართობას მაინც სიამოვნებით აარიდებდა თავს.

„შესარჩევ ეტაპზე ისეთ ძლიერ გუნდს, როგორიც „ლივერპულია“, ჯობს არ შეეხვედეთ, თუმცა, ჩემი სიტყვები ისე არ გაიგოთ, თითქოს „ლივერპულს“ საერთოდ გავურბოდე. მასთან შეხვედრა შემდეგ, ჯგუფურ ეტაპზე იქნებოდა კარგი“ — განაცხადა მან.

25 წლის ავსტრალიელ ტიმ ჩეჰილს კი იმავე საკითხზე საპირისპირო აზრი აქვს:

„რაც მოხდა საბარათლიანი იყო „ლივერპულის“ შეჯიბრებაში დაშვება უეფას მხრიდან ფეხი ძალია. რაც შეეხება მათთან თამაშს, ეიცი, ეს ხალხს მოეწონება, ხოლო რაც ხალხს მოეწონება, ის მეც მინდა“.

აი „ლივერპულის“ შეფს, რაც ბერის კი, თურმე პირველი ეტაპიდან კი არა, მესამედან უფროდა შეჯიბრებაში ჩაბმა, მაგრამ ეს ამბავი არ გამოვიდა და თუ რატომ, ამის შესახებ უეფას ადმინისტრაციაში შეეი ლეარს კრიტიკოსი სონი ასე ბრძანებს:

„ლივერპულელთა მესამე ეტაპზე დაშვებაზე საერთოდ არ ვიყავი ლაპარაკი და ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენ ამას ვკვლევდეთ. ჩვენი შეგვეცვალა და გუნდი რამდენიერად შეჯიბრებაში მოგვეხვედრებინა. საბოლოოდ, ეს გადაწყვეტილება ერთხმად მივიღეთ“

ლიტმარ ჰამანი, „ლივერპულის“ გერმანელი ფეხბურთელი:

„ჩვენი გუნდისთვის დიდი ეჭვი რამ მოხდა. ახლა ყველა ოთხ ვიხმართ, რათა ტიტული დავიცვა და ლიგა ისევ მოვიგოთ“

მომავალში კი ქვეყანას, რომ ლიც ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც წელიწადს ინგლისია, ჩემპიონთა თასზე ოთხ გუნდზე მეტს არ გააყვანინებენ. მაგრა რა მოხდება? რა და, „ევერტონის“ პოზიციაზე მყოფი გუნდი უეფას თასზე გადავა და გზას საკუთარ ჩემპიონატში უკან ჩამოტოვებულ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს დაუთმობს.

პაპუნა კედია

„ლივერპულის“ მუზეუმს ჩემპიონთა თასი მეხუთედ შეემატა

ოცნების თეატრს ჰყიდიან

მალკოლმ გლეიზერი

ახალი ცნობა მოდის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“, სადაც კლუბის ახალი პატრონის, ამერიკელი მალკოლმ გლეიზერის გეგმები სულ უფრო და უფრო სკანდალური ხდება.

ამ ჯერზე ამბობენ, რომ გლეიზერი თვით ოცნებების თეატრს, „ოლდ ტრეფორდს“ უპირებს გაყიდვას, რათა 200 მილიონი გირვანქა აიღოს.

კლუბის პასუხისმგებელი შეფი დევიდ გილი ამ უქმეებზე დაბრუნდა ფლორიდიდან, სადაც გლეიზერების ოჯახთან კლუბის მომავალზე თათბირობდა.

მის გეგმებში „ოლდ ტრეფორდის“ შენარჩუნებას პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ გლეიზერები ამას არ დათანხმდნენ და უთხრეს, რომ სტადიონს გაყიდიან და მერე იქირავებენ, რათა ზედ „მანჩესტერი“ ათამაშონ. 30-წლიანი ქირით ავიღებთო, უთხრეს გილს.

ამერიკელები ასე იმიტომ იქცევიან, რომ კლუბი ვალებით აქვთ ნაყიდი და ნახევრის სასწრაფოდ გასტუმრება სჭირდებათ.

ირაკლი გამყრელიძე

„მანჩესტერის“ ფანებმა ახალი პატრონი თავიდანვე აითვალწუნეს

რომა გაშავდა

შაბანი ნონდამ „რომასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

იტალიურმა „რომამ“ ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე უკვე მესამე „თავისუფალი აგენტი“ დაიმატა. როდრიგო ტადეისა და სამუელ კუფურის შემდეგ შაბანი ნონდას ჯერიც დადგა.

მოგეხსენებათ, „მონაკოს“ ყოფილი თავდამსხმელი „იუვენტუსში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ტურინელებმა ბოლო მომენტში უარი განაცხადეს მასთან კონტრაქტის გაფორმებაზე, რის მერეც კონგოელმა „სტადიო ოლიმპიკოს“ მიაშურა.

შავკანიანმა ფორვარდმა „ჯალოროსისთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და, როგორც ამბობენ, სეზონში დაახლოებით 1 მილიონ ევროს მიიღებს. მიღწეული შეთანხმებით 28 წლის ფეხბურთელი ძალიან კმაყოფილია და გულშემატკივარს ბევრ გოლს ჰპირდება.

ამასობაში, დედაქალაქელებმა ფილიპ მექსეშის ტრანსფერთან დაკავშირებული აპელაცია წააგეს და მათ „ოსერისთვის“ 5,3 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. შეგახსენებთ, რომ ფრანგი მცველი „რომაში“ ასევე თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, მექსეშს ჯერ კიდევ აკავშირებდა კონტრაქტი „ოსერთან“ და ამის გამო რომაელებს სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოუწევთ. ხოლო თავად მექსეშმა უკვე მოიხადა შვიდკვირიანი დისკვალიფიკაცია.

გიორგი კაკაბაძე

რომაული დელიო რანში

ლაციოსთვის ასრულებს დელიო როსი



ხანგრძლივი მითქმა-მოთქმისა და კანდიდატების შერჩევის შემდეგ რომის „ლაციო“ დელიო როსის ჩააბარეს. ახალგაზრდა სპეციალისტი ამ პოსტს დიდხანს ელოდა და დედაქალაქელთა წინადადება სიამოვნებით მიიღო. მხარეებმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს შემდგომში გახანგრძლივების პერსპექტივით.

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, როსი თავის გუნდებს ყოველთვის მიმზიდველ და შედეგიან ფეხბურთს ათამაშებს. იმედია, ჩვენს შემთხვევაშიც ასე იქნება. კრიტიკოსებს კი ვთხოვ, მწვავე კომენტარებისგან თავი შეიკავონ და მშვიდად მუშაობის საშუალება მოგვცენ“ — აღნიშნა „ბიანკონერელესტეს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ.

მცირე პრესკონფერენცია მოაწყო თავად დელიო როსიმაც. მან რომაელთა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პაოლო დი კანიო მის გუნდში ერთ-ერთი მთავარ ფიგურა იქნება.

დელიო როსი: „ჩემს გუნდში ყველასთავის არის ადგილი, ვისაც „ლაციო“ მართლაც უყვარს. დი კანიო ამ სიაში პირველია. ასე რომ, ჭორებს ყურს ნუ დაუგდებთ, პაოლო ჩვენთან რჩება. რაც შეეხება მიზანს, ეს დაბალანსებულია, სტაბილური გუნდის აწყობაა. იმაში ინტერტოტოს თასი ძალიან დაგვეხმარება“.

ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ დედაქალაქელთა პირველი შენაძენი შესაძლოა, „ატალანტას“ მცველი ჩეზარე ნატალი გახდეს. როსის თავის ყოფილ შეგირდთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და მას ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევს. „სტადიო ოლიმპიკოზე“ გადასვლა თავად 26 წლის ფეხბურთელსაც სწადია.

გიორგი კაკაბაძე

მარადონას დანახული კასანო

დიეგო მარადონა კვლავინდებურად იტალიაშია. ნეაპოლში, ჩიროო ფერარას გამოსამშვიდობებელ მატჩზე დასწრების შემდეგ დიეგო რომში ჩავიდა და ლეგენდარული არგენტინელი თავის ძველ მეგობარ ბრუნო კონტის შეხვდა, ოგი „რომას“ ვარჯიშსაც დესწრო. მარადონა განსაკუთრებით ანტონიო კასანოს თამაშს აკვირდებოდა, რომლისადმი სიმპათიაც არასდროს დუმალავს.

„კასანოზე ყოველთვის დიდი წარმოდგენის ვიყავი. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ჩანდა, რომ მისგან დიდი ფეხბურთელი დადგებოდა. თუმც ანტონიოს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო“ — აღნიშნა მარადონამ.

არგენტინელი და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა პირადად ფეხბურთელსაც საკმაოდ დიდხანს ესაუბრა და, როგორც თავად განაცხადა, რამდენიმე რჩევა მისცა.

დიეგო არმანდო მარადონა: „მან საკუთარი, სწორი გზა უნდა აირჩიოს და არასდროს გადაუხვიოს მას. გარდა ამისა, კასანომ უნდა გაიაზროს, რამხელა მნიშვნელობა აქვს გუნდის პატივისცემასა და საერთო აზრის გაზიარებას“.

კომენტარი გააკეთა „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმაც: „როდესაც იგი მოვიდა და ასე ახლოს დავინახე, ფეხები ამიკანკალდა. ეს საოცარი გრძნობა იყო“. თავად მარადონას კი ტოტისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია და არც კომენტარი გაუკეთებია.

გიორგი კაკაბაძე




დიეგო მარადონა ანტონიო კასანოს ნიჭით და შესაძლებლობებით აღფრთოვანებულია

ამხანაგური მატჩი

ლიპი ფრეებს და კმაყოფილებას მიეძალა

იტალია 1:1 ეკვადორი

1:0 ტონი (6), 1:1 მ. აიოვი (18პ)

იტალია: რომა, ძაკარდო, ბარძალი, დაინელი (ბარონიო 46), კასეტი (იაკინტა 88), კოპოლა (მესტო 55), ბარონე, გროსო, ბრიენძა (ლანგელა 46), ტონი (კ. ლუკარელი 46), დი მიკელე (კიელინი 67)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ეკვადორი: მორა, დე ლა კრუზი (ამბროზი 78), ურტადო, ესპინოზა (გუაგუა 82), რეასკო, ლარა (გომესი 51), ე. ტენორიო, მ. აიოვი (კიროსი 78), ვ. აიოვი, ბალდეონი (დელგადო 46), კ. ტენორიო (ვალენსია 46)

მწვრთნელი: ლუის სუარესი

მსაჯი: ვაფნი (აშშ)

28 000 მაყურებელი

„სკუადრა აძურამ" კანადურ-ამერიკული ტურნე ორი ფრით დაასრულა. იტალიელებმა ეკვადორთან კიდევ უფრო ექსპერიმენტული შემადგენლობით იბურთავეს და ცუდად არ გამოიუყურებოდნენ, მაგრამ მეტოქეს აჯობესო, ვერ ვიტყვით. თუმც მარჩელო ლიპის შეგირდებს რეალური საგოლე მომენტები უფრო მეტი ჰქონდათ.

მატჩი ადგილობრივი დროით სამ საათზე დაიწყო, როდესაც ნიუ იორკში ტემპერატურა 30 გრადუსს გადასცდა, რაც ფეხბურთელებს საქმეს უდავოდ ურთულებდა. დებიუტი აშკარად იტალიელებისა იყო. უკვე 90-ე წამზე დი მიკელეს აქტიურობის შემდეგ გოლის გატანა ლუკა ტონის შეეძლო. ცოტა ხანში კი იმავე დი მიკელეს საჯარიმო დარტყმა მორამ მოიგერია.

მე-6 წუთზე პალერმოელმა ფრანკო ბრიენძამ ძალიან კარგად ჩააწოდა ლუკა ტონის, რომელმაც თანაკლუბელს გარჯა არ დაუკარგა და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

პირველ წუთებში იტალიელები სწრაფ და ლაღ ფეხბურთს თამაშობდნენ. განსაკუთრებულად ზემოხსენებული დი მიკელე და ბრიენძა უნდა გამოვარჩიოთ. მათ ტონის კიდევ ერთი მომენტი შეუქმნეს, მაგრამ მისი დარტყმა კარს ასცდა.

ეკვადორელები გონს საწყისი 15 წუთის შემდეგ მოეგნენ და, ფაქტობრივად, პირველივე გააზრებული იერიში შედეგიანად დაასრულეს — ფიორენტინელმა დარიო დაინელიმ თავის სადებიუტო მატჩში კარლოს ტენორიოსთან უხეშობისთვის პენალტი „დაიმსახურა", რომლის გატანა მალრონ აიოვის არ გასჭირვებია.

ამის შემდეგ უპირატესობა ნელნელა სამხრეთამერიკელთა მხარეს გადავიდა. ჯერ ვალტერ აიოვის დარტყმული მოხვდა ხარიხას, მერე კი ტენორიოს ჰქონდა ორი მომენტი.

ტაიმის მიწურულს კი ისევ იტალიელებს შეეძლოთ წინ გასვლა: ტონის მორიგი თავური მიზანს ვერ აღწევს, სულ ცოტა აკლდება.

მეორე ნახევრის დებიუტში გუნდებმა მომენტებ[illegible] რეც მატჩი 75-[illegible] რელთა კარნახ[illegible] თგან ყველაზე [illegible] ულისეს დე ლა კრუზს ჰქონდა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა კრისტიან ძაკარდომ. ხოლო აპენინელთა მხრიდან დი მიკელეს კროსის შემდეგ კარგი მომენტი შეექმნა შეცვლაზე შესულ კრისტიანო ლუკარელის, რომელმაც მორას ვერ აჯობა.

ბოლო 15 წუთში კი იტალიელებმა ბევრი შანსი გაანიავეს. ჯერ ჯანდომენიკო მესტოს დარტყმული ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა აიოვიმ. შემდეგ ლანგელას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლუკარელის აუღო მორამ. დამატებულ წუთებზე კი, ეკვადორელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობისა და რამდენიმე რიკოშეტის მიუხედავად, აპენინელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

მარჩელო ლიპი: [illegible] ამ შეხვედრის მოგება ვერ შევძელით. [illegible] ერთი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. [illegible] ლიანობაში ტურნეს დადებითად [illegible] ფასებ, რადგანაც თითოეული [illegible] შისთვის ამას დიდი მნიშვნელობა [illegible] ქონდა. მეტი გამოცდილება შევიძინე[illegible] და ბევრი რამ ვისწავლეთ. [illegible] ლის საგზური ჯერ არ გაგვიფორმებია, ამიტომ ფეხბურთელებისა და მილიანად ნაკრების შეფასებისგან თავს შევიკავებ. ყველა მონდომებული იყო და გარჯა არ უნდა დავუკარგოთ"

გიორგი ძაძაგაძე

იტალიელები ლუკა ტონის ამ თავურით დაწინაურდნენ

ადრიანოს (მარჯვნივ) დუბლმა „ინტერი"
1989 წლის მერე პირველ საშინაო ტიტულს მიაახლოვა

იტალია

თასის ფინალი. I მატჩი

რომა 0:2 ინტერი

0:1, 0:2 ადრიანო (30, 36)

რომა: კურჩი, პანუჩი, მ. ფერარი, კუფრე (სკურტო 78), ვირგა (მონტელა 58), დაკური, პეროტა, მანსინი (გრეკო 71), ტოტი, ა. კასანო

მწვრთნელი: ბრუნო კონტი

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, მიხაილოვიჩი, ფავალი, ზე მარია, დ. სტანკოვიჩი, კამბიასო, კილი გონსალესი (ვან დერ მეიდე 84), ადრიანო, ო. მარტინსი (ხ. კრუზი 75)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ფერარი, კუფრე, პეროტა

მსაჯი: კოლინა

75 000 მაყურებელი

სერია B
XLII ტური

ალბინოლეფე 0:1 პერუჯა

0:1 ფლორო ფლორესი (11)

არეცო 3:0 ვიჩენცა

1:0 აბრუსკატო (8), 2:0, 3:0 საინესი (86, 90)

ასკოლი 1:0 მოდენა

1:0 კოლაჩონე (9)

ბარი 4:1 ემპოლი

1:0 ლა ვისტა (30), 2:0, 3:0 სანტორუვო (45, 48), 3:1 ალმირონი (70), 4:1 რომანელი (71)

კატანია 2:0 ჩეზენა

1:0 ჯედა (12), 2:0 კ. სილვესტრი (77)

ტრევიზო 0:1 ტორინო

0:1 ბრუნო (49)

კროტონე 4:1 სალერნიტანა

1:0 გუცმანი (9), 2:0 რუსო (14), 3:0 პორკია (35), 3:1 ბენჯამინი (59), 4:1 ჟომსი (89ს.კ.)

ჯენოა 3:2 ვენეცია

0:1 ვიჩენტე (13), 1:1 დ. მილიტო (45), 2:1 მ. როსი (53), 2:2 ლ. ოლივეირა (60), 3:2 დ. მილიტო (64)

ტერნანა 3:2 კატანძარო

1:0, 2:0 ფრიკი (23, 39), 3:0 ლ. ხიმენესი (59), 3:1 არკადიო (86), 3:2 კორონა (90პ)

ტრიესტინა 3:0 პესკარა

1:0 გოდეაში (43პ), 2:0 ტული (73), 3:0 გოდეაში (80)

ვერონა 1:0 პიაჩენცა

1:0 ჯერვაზონი (79)

საბოლოო ცხრილი

ჯენოა	42	19	19	4	72:44	76
ემპოლი	42	19	17	6	58:36	74
ტორინო	42	21	11	10	49:31	74
პერუჯა	42	21	11	10	56:34	74
ტრევიზო	42	18	10	14	58:48	64
ასკოლი	42	17	11	14	51:52	62
ვერონა	42	15	16	11	60:48	61
მოდენა	42	16	14	12	47:37	58
ტერნანა	42	14	15	13	51:54	57
პიაჩენცა	42	16	8	18	44:46	56
ალბინოლეფე	42	14	13	15	55:51	55
ბარი	42	13	17	12	41:37	55
კატანია	42	13	16	13	42:44	55
არეცო	42	12	15	15	51:52	51
სალერნიტანა	42	12	15	15	49:57	51
ჩეზენა	42	12	14	16	47:60	50
კროტონე	42	13	14	15	47:45	50
ვიჩენცა	42	12	13	17	59:66	49
ტრიესტინა	42	12	12	18	43:54	48
პესკარა	42	10	16	16	43:61	46
ვენეცია	42	7	14	21	33:57	35
კატანძარო	42	5	11	26	40:82	26

„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა

სერია C
პლეი ოფი
პირველი მატჩები

ნაპოლი 0:0 აველინო

პავია 1:3 მანტოვა

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. XLI ტური

სპორტინგი 0:3 ხიმნასტიკი

0:1, 0:2 დ. ტორესი (47პ, 62), 0:3 ბოლო (72)

მურსია 1:0 ლეიდა

1:0 ივან ალონსო (25)

ელჩე 1:2 ალავესი

1:0 ნინო (22), 1:1, 1:2 ბოდიპო (24, 47)

კორდობა 3:4 ვალიადოლიდი

0:1 ვიქტორი (14პ), 0:2 ოსკარ სანჩესი (17), 0:3 ჩემა (25), 1:3, 2:3 კრისტიან ალვარესი (29პ, 38პ), 2:4 დავიდ ხურადო (46), 3:4 ანდერსონი (61)

პოლი ეხიდო 2:2 ტენერიფე

0:1 რაულ მარტინი (5), 1:1 ტოედტლი (48), 1:2 ლიმონესი (54), 2:2 ვ. სალასი (59)

სალამანკა 0:2 სიუდად მურსია

0:1 გუიზა (49), 0:2 ტონი გონსალესი (87)

მალაგა B 1:1 პონტევედრა

0:1 ხუან ხესუსი (58), 1:1 გეიხო (65)

კადისი 3:1 ტერასა

1:0 დე კინტანა (28), 1:1 აბრაამი (59), 2:1 ხონათანი (67), 3:1 მანოლო (81პ)

ფეროლი 1:2 ხერესი

0:1 კამუნიასი (21), 1:1 ა. მორენო (66), 1:2 ვ. მორენო (84)

სელტა 1:2 ეიბარი

0:1 ლორენტე (28), 0:2 ა. სუარესი (72), 1:2 სანჩესი (79)

უელვა 1:1 ალმერია

1:0 იკერ ბეგონია (36), 1:1 სანუნი (89)

სელტა	41	22	10	9	56:36	76
ალავესი	41	23	7	11	61:45	76
კადისი	41	20	13	8	65:30	73
ეიბარი	41	20	12	9	52:38	72
უელვა	41	19	13	9	44:28	70
ვალიადოლიდი	41	18	9	14	55:54	63
ხიმნასტიკი	41	16	11	14	45:41	59
ტენერიფე	41	13	18	10	42:43	57
ხერესი	41	13	17	11	37:37	56
სპორტინგი	41	14	12	15	40:39	54
ელჩე	41	15	9	17	49:51	54
მურსია	41	15	9	17	40:51	54
ლეიდა	41	13	11	17	46:52	50
პოლი ეხიდო	41	11	16	14	38:44	49
ფეროლი	41	12	12	17	54:53	48
ალმერია	41	12	12	17	35:44	48
მალაგა B	41	12	12	17	32:49	48
სიუდად მურსია	41	10	17	14	48:54	47
სალამანკა	41	12	8	21	49:59	44
კორდობა	41	11	10	20	41:51	43
პონტევედრა	41	9	14	18	48:59	41
ტერასა	41	11	8	22	44:63	41

შვეიცარია

პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

ვადუცი 0:1 ***შაფჰაუზენი*** **(1:1)**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა

V ჯგუფი. VIII ტური

ტუნისი 2:0 გვინეა

მაროკო	7	4	3	0	14:5	15
ტუნისი	7	4	2	1	20:7	14
გვინეა	8	3	2	3	10:8	11
კენია	6	3	0	3	8:11	9
ბოტსვანა	7	2	0	5	6:14	6
მალავი	7	0	3	4	7:20	3
პანამა	5	0	2	3	2:8	2

დმიტრი ლოსკოვმა „ლოკომოტივის“ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო

ალოგიკური შედეგები

შეფას თასის მფლობელიც დამარცხდა

რუსეთი

პრემიერლიგა. XI ტური

სატურნი 1:0 ტორპედო
1:0 ესიპოვი (78)

მოსკოვი 0:1 კრილია
0:1 გუსინი (89პ)

რუბინი 1:0 ცსკა
1:0 ჩიჟეკი (29)

ამკარი 0:0 ტომი

დინამო 1:0 ალანია
1:0 დერლეი სილვა (30)

როსტოვი 1:0 ტერეკი
1:0 ოსინოვი (71პ)

ზენიტი 1:1 სპარტაკი
0:1 პავლიუჩენკო (60), 1:1 კერჟაკოვი (87)

შინიკი 0:2 ლოკომოტივი
0:1 სტაროსტიკი (80საკ), 0:2 ლოსკოვი (88)

ტურის ცენტრალური მატჩები შაბათს გაიმართა. სხვათა შორის, ორივე შეხვედრა ძალიან დაძაბული და მიმზიდველი გამოდგა.

იაროსლავლში, იუბილარმა „შინიკმა“ გაიმარჯვა ლიდერ „ლოკომოტივს“ უსასპინძლა. შეხვედრის პირველი ტაიმი ძალიან დაძაბული გამოდგა. ბურთი, ფაქტობრივად, მოედნის ცენტრს არ სცილდებოდა და სახიფათო მომენტებიც თითზე ჩამოსათვლელი თუ იყო. ერთადერთი საგოლე მომენტი 44-ე წუთზე სტუმრებმა შექმნეს, როდესაც მეტოქის საჯარიმოში შეჭრილი იგორ ლებედენკოს დარტყმული მცირე მანძილით ასცდა საფონოვის კარს.

მეორე ნახევარი კი ბოლო 10 წუთის გამოკლებით მთლიანად „შინიკისა“ იყო. პირველ 25 წუთში მასპინძლებმა რკინიგზელები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ, მაგრამ ამაოდ. ჯერ ალექსანდრ რადოსლავლოვიჩის დარტყმული ბუროი მოხვდა მოსკოველთა კარის ხარიხას, ხოლო შემდეგ ანდრეი პიკეის. ცოტა ხანში ანტონ ხაზოვმა კიდევ ერთი რეალური შანსი გაანიავა.

ამდენი მომენტის გამოუყენებლობის გამო მასპინძლები მე-80 წუთზე დისაჯნენ — ლოსკოვის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მიხაილ სტაროსტიკამ საკუთარ კარში ჩაჭრა. გულგატეხილმა იაროსლავლელებმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლეს და მატჩის მიწურულს იმავე ლოსკოვმა თავისი სოლოგარღვევა ზუსტი დარტყმით დაასრულა.

მალხაზ ასათიანმა კვლავ შეუცვლელად ითამაშა. რკინიგზელებმა კი ამ გამარჯვებით პოზიციები განმტკიცეს. ცხადია, შედეგით კმაყოფილი იყო მოსკოველთა თავკაცი ვლადიმირ ეშტრეკოვი. მისი კოლეგა ოლეგ დოლმატოვი კი დასანანი მარცხით ძალიან გულდაწყვეტილი ჩანდა.

სანკტ პეტერბურგში ძველი მეტოქეები, „ზენიტი“ და „სპარტაკი“ ბურთაობდნენ. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი ტაიმის ბოლომდე ასეც გაგრძელდა.

აშკარა საგოლე მომენტი „ზენიტს“ ორი ჰქონდა — ჯერ სპივაკის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი კოვალევსკიმ საოცარი რეაქციით მოიგერია, მერე კი კერჟაკოვმა მოსკოველთა კარის ძელი შეაზანზარა.

მეორე ნახევარში თამაში გათანაბრდა და მე-60 წუთზე „სპარტაკმა“ გოლიც გაიტანა — მასპინძელთა დაცვის შეცდომით პავლიუჩენკომ ისარგებლა და ბოიარინცევის კარგი პასი შეირგო.

სანკტპეტერბურგელებმა შეხვედრის ბოლო წუთებზე თავიანთი ლიდერების, არშავინისა და კერჟაკოვის ოსტატობის წყალობით მატჩის გადარჩენა მაინც შეძლეს. სხვათაშორის, ეს კომბინაცია ძალიან წაგავდა ამ დუეტის მიერ რამდენიმე დღის წინ გერმანიის ნაკრების კარში გატანილ გოლს.

„ვფიქრობ, „სპარტაკს“ ძალიან გაუმართლა. მოსკოველებმა ერთხელ შემოგვიტიეს და მაშინაც გოლი გაგვიტანეს. მოგებაც შეგვეძლო და ვიმსახურებდიც კიდეც, მაგრამ სანაკრებო შეკრებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები დაღლილები იყვნენ და ჩვეულად ვერ ირჯებოდნენ“ — თქვა „ზენიტის“ თავკაცმა ვლასტიმილ პეტრუელამ.

„სპარტაკის“ თავკაცი ალექსანდრს სტარკოვსი კი მოპოვებული ქულით კმაყოფილი იყო.

უეფას თასის მფლობელმა ცსკამ მოულოდნელად ყაზანში, „რუბინთან“ წაგო 0:1. ვალერი გაზაევის გუნდს გოლი 29-ე წუთზე ჩეხმა მარტინ ჩიჟეკმა გაუტანა.

დამარცხდა „მოსკოვიც“ — წინა კვირაში, საბერძნეთის ნაკრების კარში გამარჯვების გოლის გამტანმა უკრაინელმა, ანდრეი გუსინმა თავი გუშინაც გამოიჩინა. გუსინმა 89-ე წუთზე პენალტიდან შეუგდო მოსკოველთა მეკარე იური ჟევნოვს და მისმა „კრილია სოვეტოვმაც“ დედაქალაქიდან აგრერიგ საჭირო სამი ქულა წაიღო.

გიორგი კაკაბაძე

ლოკომოტივი	11	6	5	0	16:3	23
სპარტაკი	11	6	2	3	20:11	20
მოსკოვი	10	5	3	2	10:3	18
ზენიტი	11	5	3	3	17:11	18
რუბინი	11	5	3	3	13:12	18
კრილია	11	4	4	3	10:12	16
ტორპედო	10	4	3	3	12:6	15
დინამო	11	5	0	6	13:20	15
სატურნი	10	4	2	4	9:7	14
ამკარი	11	2	7	2	8:10	13
ცსკა	7	3	2	2	11:3	11
შინიკი	10	2	5	3	7:9	11
ტომი	11	2	4	5	7:13	10
ალანია	11	2	3	6	8:18	9
ტერეკი	11	2	3	6	8:18	9
როსტოვი	11	1	3	7	5:18	6

მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ნიდერლანდები, 10 ივნისი — 2 ივლისი

ჩინურ-ამერიკული სიურპრიზი

A ჯგუფი. I ტური
ბენინი 1:1 ავსტრალია
ჰოლანდია 2:1 იაპონია

B ჯგუფი. I ტური
თურქეთი 1:2 ჩინეთი
უკრაინა 3:1 პანამა

C ჯგუფი. I ტური
ესპანეთი 3:1 მაროკო
ჰონდურასი 0:7 ჩილე

D ჯგუფი. I ტური
არგენტინა 0:1 აშშ
გერმანია 2:0 ეგვიპტე

E ჯგუფი. I ტური
კოლუმბია 2:0 იტალია
სირია 1:1 კანადა

F ჯგუფი. I ტური
ბრაზილია 0:0 ნიგერია
სამხრეთ კორეა 1:2 შვეიცარია

პარასკევს, კერკრადეში ავსტრალიისა და ბენინის მატჩით მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიხსნა. აქედანვე ვთქვათ, რომ ტურნირის დებიუტმა მოლოდინი გაამართლა. წესით, წინ ძალიან დაძაბული და საინტერესო შეხვედრები გველის, მოგეხსენებათ, ჰოლანდიაში საკმაოდ ძლიერ ნაკრებებს მოუყრიათ თავი და გამოკვეთილი ფავორიტის დასახელება ძნელი იქნება.

გახსნით მატჩზე სათქმელი ბევრიც არაფერია. ბენინი და ავსტრალია სავარაუდოდ, ჯგუფში მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ, ხოლო ფრე მეტ-ნაკლებად ორივესთვის მისაღები შედეგი გახლდათ.

ტურნირის მასპინძელმა ჰოლანდიამ შეხვედრის დებიუტშივე ორჯერ აიღო იაპონიის კარი და დარჩენილ წუთებში თავი აღარ მოუკლავს. აზიელებმა ერთი ბურთი კი გაქვითეს, მაგრამ „ნარინჯისფერებს“ მატჩის მოგებამდე მიყვანა არ გასჭირვებიათ. თუმც მათი ქომაგები ბოლომდე კმაყოფილნი არ არიან, რადგანაც გუნდისგან უფრო მეტს ელოდნენ.

B ჯგუფში ჩემპიონატის პირველი სენსაცია შედგა. ჩინეთმა მატჩის ფავორიტად შერაცხულ თურქეთს დაძაბულ ბრძოლაში მოუგო. შეხვედრა აზიელებმა მოულოდნელად უკეთ დაიწყეს და 22-ე წუთზე გოლითაც დაჯილდოვდნენ. ამის შემდეგ თურქებმა ანგარიშის გასათანაბრებლად ყველაფერი იღონეს და 85-ე წუთზე მიზანს მიაღწიეს, თუმც მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში ჩინელთა ჩაწოდებულ კუთხურს შეცვლაზე შესული ძაოს დაახლოებით 25 მეტრიდან შესრულებული ზუსტი და ძლიერი დარტყმა მოჰყვა.

უკრაინელებმა კი თორმეტწუთიან მონაკვეთში ოთხი გოლი გაიტანეს. მართალია, ერთი საკუთარ კარში, მაგრამ პანამის ძლევა აღარ გასჭირვებიათ.

უხვგოლიანი გამოდგა **C** ჯგუფის მატჩები. ესპანეთმა საკმაოდ იოლად მოუგო მაროკოს. თანაც პირნელებმა ერთობ მიმზიდველი ფეხბურთი ითამაშეს. ჩილემ კი ჰონდურასი არ დაინდო. სამხრეთამერიკელებმა ჩრდილოელებს ყველასთვის მოულოდნელად 7 უპასუხო გოლი გაუტანეს და მეტიც შეეძლოთ. ჩილელთაგან პარადამ და ფუენსალიდამ ორ-ორი ბურთი შეაგდეს და უკრაინელ ოლექსანდერთან ერთად ბომბარდირთა დავაში დაწინაურდნენ.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები **D** ჯგუფშიც. გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეული არგენტინა აშშ-სთან დამარცხდა. ამერიკელებმა მშვენივრად იბურთავეს და დამსახურებულადაც იმარჯვეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი ჩად ბარეტმა პირველი ტაიმის მიწურულს შეაგდო. მეორე ნახევარში ანგარიშის გაზრდა შეეძლო 16 წლის ვარსკვლავ ფრედი ადუს, მაგრამ მან თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

ამ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჯგუფის მეორე მატჩში გერმანიას აუტსაიდერ ეგვიპტის ძლევა საკმაოდ გაუჭირდა. მართალია, ევროპელები მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში 0:0 იყო, 75-ე წუთზე გატანილმა ადლერის გოლმა კი ყველაფერი გადაწყვიტა.

გიორგი კაკაბაძე

ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

ინგლისელები უქალებოდ დარჩნენ

A ჯგუფი. III ტური
ინგლისი 0:1 შვედეთი
ფინეთი 2:1 დანია

საბოლოო ცხრილი

შვედეთი	3	1	2	0	2:1	5
ფინეთი	3	1	1	1	4:4	4
დანია	3	1	1	1	4:4	4
ინგლისი	3	1	0	2	4:5	3

B ჯგუფი. III ტური
გერმანია 3:0 საფრანგეთი
ნორვეგია 5:3 იტალია

საბოლოო ცხრილი

გერმანია	3	3	0	0	8:0	9
ნორვეგია	3	1	1	1	6:5	4
საფრანგეთი	3	1	1	1	4:5	4
იტალია	3	0	0	3	4:12	0

მეორე ტურის მიმოხილვაში გვეწერა, A ჯგუფში ვითარება ისეა ჩახლართული, ლიდერი ეგებ ჯგუფში დარჩეს, მაჩანჩალა კი ნახევარფინალში გავიდეს-თქო. ისე ყველაფერი აგიხდეთ, ეს ვარიანტი რომ ახდა.

ბოლო ტურის წინ პირველ-მეორე ადგილებზე დანია და ინგლისი იყვნენ, ბოლო ტურში ორივემ წაგო და გზაც მეტოქეებს დაუთმეს.

შვედები წინა ჩემპიონატის ფინალისტები კი არიან, მაგრამ არც ინგლისია ხელწამოსაკრავი გუნდი, თან შეჯიბრის მასპინძელიცაა და რა გასაკვირია, რომ მედგარი ბრძოლა გაიმართა.

შვედებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს და დაწყებისთანავე იერიშზე გადავიდნენ. გოლმაც არ დააყოვნა. მესამე წუთი იყო, როცა კუთხურიდან ტერეზა სოგრანის ჩაწოდებული ბურთი მასპინძელ კეტი ჩეპმენს მოხვდა და კარში შეავარდა.

შვედები უკეთეს დასაწყისზე ვერც იოცნებებდნენ და მალევე მოეშვნენ. ამგვარი დასაწყისით გაოგნებული ინგლისელი გოგოები კი მალე მოეგნენ გონს და გასათანაბრებლად გაიწიეს.

პირველ ტაიმში ინგლისელებს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ნაღდი შტურმი შესვენების მერე დაიწყო და გოლსაც, მთელ რიგ ეპიზოდებში, თითქოს აღარაფერი უკლდა. თუმც „ივუდ პარკზე“ მისულ 25 ათასი ინგლისელი ფანი ამაოდ დაშვრა — ინგლისური გოლი მაინც არ გავიდა და ევროპის ჩემპიონატი უმასპინძლოდ დარჩა.

შვედებს კი ორმაგად გაუმართლათ, მეორე შეხვედრაში ფინელებმა რომ მოიგეს. დანიას რომ მოეგო, შვედები მეორე ადგილით გავიდოდნენ ნახევარფინალში, სადაც ჩემპიონატის უდავო ფავორიტთან, გერმანიასთან მოუწევდათ რკინა.

ფინელებმა უცბად მოუთავეს საქმე დანიელებს. მე-16 წუთისთვის ორი გოლით უგებდნენ და მართალია, ტაიმის ბოლო წუთზე დანიელმა კატრინ სორენსენმა ერთი ბუროი გაქვითა, ორი ტურის მერე ლიდერად მყოფმა გუნდმა მეტი ვეღარაფერი შეძლო და ჩემპიონატიდან აიბარგა.



AFP ბლუმბერგიდან

კეტი ჩეპმენის ინგლისი უსახელოდ გავარდა

კოტე კეკელია

ნახევარფინალი. 14 ივნისი
შვედეთი — ნორვეგია
გერმანია — ფინეთი

ესპანეთი
სამეფო თასის ფინალი

ბეტისი 2:1დ.დ.(1:1) ოსასუნა

1:0 ოლივეირა (73), 1:1 ალოიზი (82), 2:1 დანი (114)

ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი (ლემბო 78), მელი, არზუ (ვარელა 68), ფერნანდო, ხოაკინი, მ. ასუნსაო, რ. ოლივეირა, ედუ (დანი 89)

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

ოსასუნა: ელია, კლავერო, კრუჩაგა, ხოსუ, ექსპოზიტო, პაბლო გარსია, პუნიალი (დავიდ ლოპესი 77), ვალდო, დელპორტე, ვებო (ალოიზი 78), ჩენგე მორალესი (მილოშევიჩი 72)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: ჩენგე მორალესი, რივასი, კლავერო, მელი, ექსპოზიტო, კრუჩაგა, ხუანიტო, ვარელა

გაძევება: პაბლო გარსია (117)

მსაჯი: პერეს ბურული

55 000 მაყურებელი

ნანატრი თასი 28 წლის შემდეგ...

AFP მადრიდიდან

სევილიის „რეალ-ბეტისმა"
ესპანეთის სამეფო თასი მეორედ მოიგო

როგორც ყველა გუნდის გულშემატკივრებს, სევილიური „ბეტისის" ინჩასობასაც საყვარელი გუნდის გამარჯვებათა აღნიშვნა გამორჩეულ ადგილას სჩვევიათ. ბეტისელთა საფიესტო ადგილი კი სევილიის მთავარი მოედანი, პლაზა ნუევაა, რომელიც წლეულს ლორენს სერა ფერერის შეგირდთა წყალობით სამჯერ შეივსო. პირველად ინჩასებმა ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა იდღესასწაულეს, მერე ესპანეთის სამეფო თასის ფინალში მოხვედრა და ბოლოს ამ ნანატრი კოპა დელ რეის მოგება. 11 ივნისის საღამოს, დაძაბული ფინალის 115-ე წუთზე, ბეტისელმა დანიმ „ოსასუნას" მეკარე ელიას ლამაზი დარტყმით გაუტანა და...

მადრიდულ „ვისენტე კალდერონზე" გამართული ფინალი დაძაბული გამოდგა, რაც წინასწარ იყო ნავარაუდევი — არც ერთი ფინალისტი მეტოქესთვის მცირედი შანსის მიცემასაც არ აპირებდა. პირველ ტაიმში უფრო ბეტისელები გამოირჩეოდნენ. მათი იერიშები ნავარიელებისაზე ოდნავ სახიფათო იყო, თუმც არც ხავიერ აგირეს შეგირდები ყოფილან უქმად. ერთი სიტყვით, „კალდერონზე" მაგარი თამაში იყო.

„ბეტისი" და „ოსასუნა" მოედანზე აღელვებულები შევიდნენ, მაგრამ დაბნეულობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ" — წერდა ესპანური „მარკა" და მართლაც — მიუხედავად ფორვარდების დიდი სურვილისა, მოწინააღმდეგეთა კარი აღლოთ, მცველთა გააზრებული თამაშის წყალობით პირველმა ტაიმმა უგოლოდ ჩაიარა. მეტიც, საფინალო ვნებები ტრიბუნებზე უფრო ბობოქრობდა. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე, მეტოქე ფანობამ ერთმანეთი ლანძღვა-გინებით აიკლო და პოლიციის დროული ქმედება რომ არა, მატჩს, რომელსაც ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ესწრებოდა, ვინძლო ჩაშლიდნენ კიდეც მოჩხუბრები.

ამასობაში მეორე ნახევარიც დაიწყო. მოწინააღმდეგენი გააქტიურდნენ და აქამდე მეურვეთა კლანჭებში ჩავარდნილმა ხოაკინმაც სული მოითქვა — „ბეტისის" ვარსკვლავის იერიშებმა „ოსასუნას" მეკარე რამდენჯერმე გვარიანად შეაშფოთა. ნავარიელთა მხრიდან საპასუხო შეტევებში დაუღალავი ჩენგე მორალესი გამოირჩეოდა. გოლი კი მაინც ელიას [illegible] — „ოსასუნას" მცველ კრუჩაგასა და მეკარის შეუთანხმებლობით [illegible] რიკარდო ოლივეირამ [illegible] და 73-ე წუთზე პირველი ბურთი შეაგდო. მიუხედავად ასეთი მძიმე დარტყმისა, ნავარიელები [illegible] მოვიდნენ და 84-ე წუთზე კარლოს ალოიზის ზუსტმა თავურმა [illegible] „კალდერონის" ტაბლოზე [illegible] ააფიქსირა. შემდეგ იყო [illegible] პერეს ბურულის მიერ დანიშნული დამატებითი დრო და დანის [illegible] მოხსენებული გამარჯვების [illegible] — „ბეტისის" [illegible] ნაგუნდელების, ვარელას და ოლივეირას კომბინაცია [illegible].

„ვამაყობ ჩემი გუნდით. [illegible] „ბეტისმა" დაამტკიცა, [illegible] ნური პრიმერას [illegible] ერესი კლუბია. ჩვენს [illegible] კოპა დელ რეი მეორეჯერ, 28-წლიანი პაუზის შემდეგ მოვიპოვეთ, რითაც ძალიან გახარებული ვარ" — აღნიშნა ლორენს სერა ფერერმა პრესკონფერენციაზე.

„შეგირდებისადმი საყვედური არაფერი მაქვს. „ოსასუნამ" [illegible] ულს ბრწყინვალე სეზონი [illegible] რა. რა თქმა უნდა, [illegible] ლანი დამწუხრებულნი ვართ, [illegible] ვფიქრობ, „კალდერონზე" [illegible] ბილი ინჩასები ჩვენი თამაშით [illegible] მაყოფილნი მაინც არ დარჩ[illegible]" — თქვა ხავიერ აგირემ, [illegible] ნას" მწვრთნელმა.

ლადო ხომერიკი

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია A						
		14 ივნისი						
22:30	1	პარმა-ბოლონია	2.1	2.9	3.3	1.21	1.28	1.54
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		13 ივნისი						
21:00	49	ვიკინგი-ბრანი	2.5	3.3	2.55	1.42	1.26	1.43
		შვედეთი. ალსვენსკა						
		13 ივნისი						
21:00	65	იურგორდენი-გიოტებორგი	2.2	3.1	2.95	1.28	1.26	1.51
21:00	66	კალმარი-ასირისკა	1.6	3.5	4.7	1.09	1.19	2.0
22:00	67	ჰელსინგბორგი-მალმიო	2.55	3.0	2.6	1.37	1.28	1.39
		შვედეთი. სუპერეტა						
		13 ივნისი						
21:00	80	იორებრო-დეგერფორსი	1.55	3.6	5.0	1.08	1.18	2.09
21:00	81	ვესტეროსი-იოსტერსი	2.5	3.3	2.4	1.42	1.22	1.38
21:05	82	გაის-აიკ	2.2	3.2	2.8	1.3	1.23	1.49
		კონფედერაციის თასი						
		15 ივნისი						
20:00	175	არგენტინა-ტუნისი	1.3	4.2	8.0	1.0	1.11	2.75
22:45	176	გერმანია-ავსტრალია	1.35	4.0	7.0	1.0	1.13	2.54
		16 ივნისი						
20:00	177	იაპონია-მექსიკა	2.9	3.0	2.2	1.47	1.25	1.26
22:45	178	ბრაზილია-საბერძნეთი	1.6	3.4	4.7	1.08	1.19	1.97
		ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი.(20).						
		14 ივნისი						
19:30	183	ჩინეთი(20)-უკრაინა(20)	4.0	3.3	1.8	1.8	1.24	1.16
19:30	184	ეგვიპტე(20)-არგენტინა(20)	8.5	4.5	1.3	2.94	1.12	[illegible]
19:30	185	მაროკო(20)-ჰონდურასი(20)	1.65	3.5	4.6	1.12	1.21	1.98
22:30	186	ჩილე(20)-ესპანეთი(20)	5.0	3.7	1.55	2.12	1.18	1.90
22:30	187	პანამა(20)-თურქეთი(20)	8.5	4.8	1.3	3.06	1.12	1.02
22:30	188	აშშ(20)-გერმანია(20)	4.0	3.3	1.8	1.8	1.24	1.16
		15 ივნისი						
19:30	190	იაპონია(20)-ბენინი(20)	2.2	3.0	2.9	1.26	1.25	1.47
22:30	192	ავსტრალია(20)-ჰოლანდია(20)	6.0	3.8	1.45	2.32	1.16	1.04
		ნორვეგია. თასი						
		15 ივნისი						
20:00	210	ფრედრიკსტადი-სანდეფიორდი	1.5	4.3	5.0	1.11	1.15	2.31
20:00	211	ვოლერენგა-ოსლო	1.1	8.0	15.0	1.0	1.02	5.21
20:00	212	ლილესტრიომი-მოსი	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
20:00	213	ჰიონეფოსი-ლინი	5.0	4.3	1.5	2.31	1.15	1.11
20:00	214	სტრიომსგოდსეტი-სტაბეკი	3.4	3.8	1.85	1.79	1.19	1.24
20:00	215	ოდ გრენლანდი-ჰორის გრენლანდი	1.4	4.5	6.0	1.06	1.13	2.57
20:00	216	სტარტი-მანდალი	1.2	6.0	10.0	1.0	1.07	3.75
20:00	217	ბრინი-ტონსბერგი	1.5	4.2	5.0	1.1	1.15	2.28
20:00	218	ლოვ ჰამი-ბრანი	10.0	5.5	1.2	3.54	1.07	1.0
20:00	219	სოგნდალი-ჰამარი	3.5	3.7	1.8	1.79	1.18	1.21
20:00	220	ალესუნდი-ჰიოდი	1.35	4.8	6.7	1.05	1.12	2.79
20:00	221	ალტა-ტრომსიო	6.0	4.8	1.35	2.66	1.1	1.05
		კალათბურთი. იტალია						
		14 ივნისი						
22:15	235	ბოლონია-მილანი	1.45	12.0	2.6	1.29	1.0	2.13

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ვისაც უნდა ცოტა მეტი, გაიაროს ზაზას კემპი...

რობინსონმა კალათბურთის სული ჩამოგვიტანა

უკვე გაუწყეთ, რომ 13-დან 16 ივნისამდე ზაზა ფაჩულია საწვრთნელ კემპს ატარებს თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში, რომელშიც 15-16 წლის ახალგაზრდა კალათბურთელები მონაწილეობენ. ამ კემპის მთავარი ფიგურა „მილუოკი ბაქსიდან“ მოწვეული სპეციალისტი, ამ გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი რობი „სკიპ“ რობინსონია.



ზაზა ფაჩულია და სკიპ რობინსონი

ბაზრაბ დოლიძაბეგლის ფოტო

ოლიმპიადაზე თავისი პროგრამა აქვს და ქართველი მწვრთნელები მას მხოლოდ დაეხმარებიან ვარჯიშების წარმართვაში. რობინსონი ვუშინწინ ჩამოვიდა თბილისში, ხოლო გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც არა მხოლოდ კემპთან დაკავშირებულ კითხვებს უპასუხა.

— საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზანი პერსპექტიულ ახალგაზრდებთან შეხვედრა და მათთვის სასარგებლო საკალათბურთო ვაკეთილების ჩატარებაა. ჩემთვის სასიამოვნოა, თქვენს ქვეყანაში ყოფნა. აქ ყველაფერი მშვენიერია, განსაკუთრებით — ხალხი. თავიდან ზაზამ რომ მითხრა, ჩემს სამშობლოში უნდა წავიყვანოო, არც დაკვიჯერე. მეგონა, ხუმრობდა. მერე საქმე ისე წავიდა, რომ ზაზას ძალისხმევით საქართველოში კემპის გამართვა დაიგეგმა და მეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. ეს პირველი კემპია ზაზასთვის, თუმც ამით არ დამთავრდება ყველაფერი, ეს ღონისძიება ყოველწლიურად გაიმართება და თანდათან უფრო მასშტაბური გახდება.

— ზაზას გარდა თუ იცით კიდევ რომელიმე ქართველი კალათბურთელი?

— არა, მე მხოლოდ ზაზას ვიცნობ და მისი დახმარებით თქვენი ქვეყნის კალათბურთის შესახებ ალბათ ბევრს გავიგებ.

— რას იტყვით ზაზა ფაჩულიაზე?

— ზაზა ძალიან დადებითი პიროვნებაა და მილუოკში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის ჩვენი გუნდის ქომაგთა ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშეა. ჩვენ ის არაერთხელ გვყავდა საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ღონისძიებებზე და ყველგან დიდი ყურადღება დაიმსახურა. ზაზა ხშირად სტუმრობდა ჰოსპიტლებს, საბავშვო ბაღებს, სტრიტბოლის მატჩებს და ყველგან უზაროდათ მისი გამოჩენა. ის ქარიზმატული ადამიანია და ეს მას მოედანზეც ეხმარება და ხალხთან ურთიერთობაშიც.

— ზაზას „მილუოკისთან“ კონტრაქტი ამოეწურა და ალბათ მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავთ...

— ზაზას „მილუოკში“ დარჩენა მთავარი მწვრთნელის გადასწყვეტია, მაგრამ არა მგონია, ტერი პორტერს მისი დაკარგვა სურდეს. „მილუოკის“ ხელმძღვანელობას უნდა, რომ ის გუნდში დარჩეს და მალე ალბათ ამ ამბავს ოფიციალურად გადაწყვეტს.

— კემპს დავუბრუნდეთ: ის ძალიან მცირე ხანს გრძელდება და რამდენად არგებს ახალგაზრდებს?

— გეთანხმებით, [illegible] კემპი არცთუ ხანგრძლივია, [illegible] მას დიდი სტიმულის მიცემა შეუძლია ახალგაზრდებისთვის. პატარები დაინახავენ, როგორ უდგებიან კალათბურთელს ნბა-ში და ბევრ რამეს ისწავლიან. მე შევეცდები, ყველას დავანახო კალათბურთის სული.

— თქვენ ამ საქმის ოსტატი ჩანხართ და კიდევ ვის კემპებზე გაძღოლიხართ ვარჯიშებს?

— მაიკლ რედის, დესმონდ მეისონის და ტიმ ტომასის კემპებში იმავე როლს ვასრულებდი, რაც ზაზა ფაჩულიას კემპზე უნდა შეასრულო. ასევე მეჯიკ ჯონსონის საჩვენებელ ვარჯიშებში ვმონაწილეობდი, ჭლენ რობინსონის კემპშიც მითქვამს ჩემი სიტყვა.

ბოლოს ფაჩულიამ დიდი მადლობა გადაუხადა მისტერ რობინსონს თანადგომისთვის. ზაზა იმას ჩიოდა, რომ ელემენტარულად ვერ მოხერხდა ამ კემპში მეტი ბავშვის თავმოყრა, არადა, მსურველი, გაცილებით მეტი იყო. ამჯერად 70-ამდე პატარა ეზიარება ნბა-ს სპეციალისტის ვარჯიშებს, მომავალი წლიდან კი ეს რაოდენობა 3-4-ჯერ გაიზრდება.

ირაკლი პერტაია

საფრანგეთის საკონსულომ ქართველებს ბლოკი დაუჭირა

ეს ჰეიანტოგაც აღარაა, ეს...

ფრენბურთელებს ჩანთები ამაოდ გაუძღვავთ

ბევრჯერ მომხდარა, საქართველოს ნაკრებს თუ ქართველ სპორტსმენს საერთაშორისო ტურნირზე წასაღები უკვე ჩალაგებული ჩანთა ისე ამოულაგებია, ქვეყნის სახელმწიფოს თუ კერძო ბიზნესმენთა მიერ დადასტურების ფაქტების გახსენებაც შეიძლება, მაგრამ იმას, რაც ამ დღეებში ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს შეემთხვა, ანალოგი არ მოეძებნება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პირველი გამარჯვებით გახარებული წუგხარ მიქაძის შეგირდებს ხვალ შვედეთის ნაკრებთან სტუმრად უნდა ეთამაშათ, მაგრამ ევროპაში საფრანგეთის საკონსულის არცთუ კეთილი განწყობის გამო საერთოდ ვერ წავიდნენ. გაკვირვებით, სად შვედეთი და სად საფრანგეთი მაგრამ, საქმე ისაა, რომ შვედეთის საკონსულო საქართველოში არ არსებობს და იქაურ ვიზებს საფრანგეთის საკონსულო გასცემს.

სამწუხაროდ, ფრანგი კონსულის ნდობა და სიძპათია ქართველმა ქალებმა ვერაფრით ვერ დაიმსახურეს. შედეგი ვერც ქართული სპორტის ხელმძღვანელთა და პოლიტიკოსთა გააქტიურებამ გამოიღო. საქმეში საგარეო საქმეთა მინისტრიც კი ჩარეულა, თუმც თერმეტი ვიზის პრობლემა ვერავის მოაგვარა.

გუშინ ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა და გენერალურმა მდივანმა მალხაზ კოდანაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყვეს და ყველაფერში დეტალურად გაგვარკვიეს.

შვედეთის ვიზების თაობაზე საფრანგეთის საკონსულოს პირველად მაისის დასაწყისში მივმართეთ — გვითხრა ახვლედიანმა — დავიწყოთ იქიდან, რომ პირველ რიგში ტელეფონით მათთვის სასურველ ნომერზე დარეკვა მოგვთხოვეს, თან გაგვაფრთხილეს, ერთი ზარი სამი ლარი ღირს და აუცილებლად ნაკრების თითოეულმა წევრმა ცალ-ცალკე უნდა დარეკოსო. ასეც მოვიქეცით და გვითხრეს, ათ დღეში გადმოგირეკავთო. დათქმულ ვადას გვარიანად რომ გადასცილდა, ისევ ჩვენ გადავურეკეთ და როგორც იქნა, გასაუბრების თარიღიც დაგვინიშნეს. მოგვიანებით 3 ივნისი 8-მდე გადაგვიწიეს. იმ დღის ვარჯიშები ნაკრებს საერთოდ ჩაეშალა, რადგან მთელი დღე მოსაცდელში გვაყურყუტეს, მერე კი კონსულმა გვითხრა, გასაუბრების პასუხს 10-ში შეგატყობინებთო. უკვე ბილეთებზე ვფიქრობდი, როცა უარყოფითი პასუხი მივიღეთ. კონსულს მიზეზი რომ ვკითხეთ, გვითხრა — შენგენის ქვეყნების კანონმდებლობიდან გამომდინარე, ამას ვერ დაგიკონკრეტებთო. ნამდვილად არ ვართ ის ხალხი, რაიმე ეჭვს რომ ვიმსახურებდეთ. სხვა თუ არაფერი, ეს თამაში მიმდინარე შესარჩევ ციკლში ბოლოა და აქამდე ევროპის რამდენიმე ქვეყანა მოვიარეთ.

...საქმეში ყველა ინსტანცია ჩავრიეთ სპორტის დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ოლიმპიური კომიტეტის, პარლამენტარებისა და თვით საგარეო საქმეთა მინისტრის ჩათვლით, მაგრამ შედეგი ვერც ამით მივიღეთ.

პრესკონფერენციის მიწურულს ლევან ახვლედიანს ფრენბურთის ევროპის კონფედერაციის პრეზიდენტმა, ლუქსემბურგელმა ანდრე მაიერმა დაურეკა და ვითარებაში გარკვევა მოსთხოვა. ახვლედიანმაც ყველაფერი დეტალურად უამბო. პრობლემის მოსაგვარებლად რამდენიმე საათი კიდევ რჩებოდა და მაიერმაც ითხოვა საქმის ვითარების მიღმა არ დამტოვოთო.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის თავკაცს მოსალოდნელ სანქციებზეც დავეკითხეთ. წესით, მსგავსი პრობლემის გამო სასჯელს უნდა გადავრჩეთ, რადგან სტუმრის მიღება მასპინძელი ნაკრების მოვალეობაა. შვედეთში რომ ფინანსების უკონლობის გამო ვერ წავსულიყავით, მაშინ ორწლიან დისკვალიფიკაციას და დაახლოებით 20 ათას ევროიან ჯარიმას ვერ გადავურჩებოდით. ახლა რა მოხდება, ჯერ არავინ იცის — გვითხრა ახვლედიანმა.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები

ფედერერი ისევ ხასხასებს

GERRY WEBER OPEN
ჰალე. ბალახი. საპრიზო 659 ათასი ევრო

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3 6:4; მარატ საფინი (2, რუსეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:4 7:6 (7:4); გილერმო კანიასი (4, არგენტინა) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4 6:4; ტომი ჰაასი (7, გერმანია) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:2 7:5

ნახევარფინალი

ფედერერი — ჰაასი 6:4 7:6 (11:9); საფინი — კანიასი 6:3 4:6 6:2

** თუკი** ჰალეობის დაწყებიდან მილეთის უმთავრესი საოცნებარი ის იყო, ნახევარფინალში როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის დაპირისპირება ეხილა, 19 ესპანელი ფასკუნჯის პირველი წრიდანვე ოტების შემდეგ ყველა ერთთავად ფედერერისა და მარატ საფინის მოსალოდნელ ფინალზე ალაპარაკდა. ამ ფინალს ვეღირსეთ და მასზე სიტყვას ცალკე მოგახსენებთ, მანამდე კი მცირედად ფინალისწინა ამბებზე ვიუბნოთ.

სასაუბნარო კი აქ ბევრი არც არაფერია. მართალია, ფედერერს საარაკო არაფერი გამოუძერწავს, მაგრამ თვით ბარაქიანად მობურთალ ტომი ჰაასთანაც კი თავისი უპირატესობა ერთხელაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფრის თითქოს სწორედ მკეთებელმა გერმანელმა უწინარესად თავადვე ვერ შეძლო, როჯერს გალმა გასდავებოდა და რამენაირად აეფორიაქებინა. ჩანდა, თავიდან ვერ ამოეგდო მეტოქის შეუვალი ავტორიტეტი და მისი ზეგარდმო პირველოსნობა.

აი, მარატ საფინს კი ეს ყველაფერი სულ ფეხებზედ ჰკიდია და სწორედ ამის გამო იყო, საგუშინდლოდ დაშხოშიან შეხლას რომ ველოდით, დაახლოებით იმგვარს, რაიც მათ წლევანდელი ავსტრალიობის ოთხსაათნახევრიან ნახევარფინალში გვაჩვენეს (ქე რომ რუსის გამარჯვებით დასრულდა).

ისე კი, ჰაასის ძლევით ფედერერმა (სამი მარცხის წილ) უკვე 50-ე საამსეზონო გამარჯვება მიითვალა, ბალახზე თავისი მომგებიანი სერია კი 28-მდე გაზარდა. ამაზე გრძელი აქამდე მხოლოდ ლეგენდარულ ბიორნ ბორგს ჰქონია, ვინაც 1976-81 წლებში ბალახზე ზედიზედ 41 შეხვედრაში იმარჯვა.

რაც შეეხება საფინს, იგი ფედერერისნაირ რეკორდებს ვერ დაიკვეხს, მაგრამ ახლა კვლავ ისეთ ფორმაშია, წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობაზე რომ იმარჯვა და — სხვა თუ არაფერი — აქამდე რაგინდარა საბალახსაფრო ტურნირის ფინალშიც არასოდეს ეთამაშა.

ერთი ეგ არის, რომ მარტის მერე მას მუხლის ტრავმა უჩმახებს და ამის გამო კილამ როხუსის წინაალმდეგ მეოთხედფინალური მატჩიც შეწყვიტა. თუმცა კინალამ არ ითვლება და ჩვენ უკვე ნახევარფინალშივე დავრწმუნდით, რომ ამ სკვითი ბიჭის ამოუწყავ ილაჯს მსოფლიოს საუკეთესო „დამცველად" შერაცხული გილერმო კანიასიც ვერ ეთელინება.



როჯერ ფედერერი

ფინალი

ფედერერი — საფინი 6:4 6:7 (6:8) 6:4

იმის მიუხედავად, რომ როჯერ ფედერერი მთლად კომიტეტში ვერ არის, ხოლო მარატ საფინი თავის მხრივ ჩინებულ ფორმაშია და თავის პირველ საბალახსაფრო ფინალში კარიერის მე-16 ტიტულის შოვნას დაჯერებული ეშურებოდა, ყველაფერი მაინც ისე მოხდა, როგორც რომ უნდა მომხდარიყო კიდეც.

ეს არ იყო დიდებული მატჩი, აი, ისეთი, ზემოთ რომ გავიხსენეთ — ჯადოგათამაშებებსა და ზღაპრულ დარტყმებზე მეტად ამ მატჩიდან უფრო საფინის ჭინჭყლობა და მსაჯთან ხშირი კამათი დაგვამახსოვრდება, თუმცა ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ფედერერი, თითქოს რაგინდ მოწყვლადიც არ უნდა ჩანდეს, მაინც უფრო ხშირად სწორედ მოუწყვლელი გამოდის.

აკი ფაქტებიც ამას მეტყველებს — ამ 23 წლის შვეიცარიელმა წლეულს თავის 51-ე შეხვედრასთან ერთად სეზონის მეშვიდე, ხოლო კარიერის 29-ე ტიტულიც იშოვა, თანაც ისე, რომ ეს მოგება მისი ზედიზედ 29-ე საბალახო გამარჯვებაა, ხოლო ფინალი — ზედიზედ მე-20 (!) მოგებული ფინალი. საკუთრივ ჰალეში კი მან უკვე ზედიზედვე მესამედ იპირველა და ამით საფინის განთქმულ თვისტომს, ევგენი კაფელნიკოვს წაბაძა. და — რაც ყველაზე მთავარია — პრინციპული მეტოქის ძლევით უიმბლდონის შარშანდელმა და შარშანწინდელმა ჩემპიონმა ცხადყო, რომ ის წლევანდელი სეფებალახობის უმთავრეს ფავორიტადაც უნდა მიიჩნეს.

THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS
ლონდონი. ბალახი. საპრიზო 659 ათასი ევრო

მეოთხედფინალი

ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 7:6 (7:4) 6:3; ენდი როდიკი (2, აშშ) — სებასტიან გროჟანი (7, საფრანგეთი) 6:4 7:6 (7:5); ტომას იოჰანსონი (6, შვედეთი) — ტიმ ჰენმანი (3, ბრიტანეთი) 6:4 6:4; რადეკ შტეპანეკი (4, ჩეხეთი) — რიშარ გასკე (10, საფრანგეთი) 3:6 6:1 6:2

ნახევარფინალი

როდიკი — შტეპანეკი 6:3 2:6 6:2; კარლოვიჩი — იოჰანსონი 6:4 7:6 (9:7)

ორგზის ტიტულდამცველმა ენდი როდიკმა თავის ზედიზედ მესამე ქუინზკლაბურ ფინალს უწია. კაცმა რომ თქვას, მას ეს მაინცდამაინც შთამბეჭდავად არ გაუკეთებია — ძირითადად ფონს თავის გლაჯუნა მოწოდებითა და მეტოქეთა შეცდომებით გადიოდა — მაგრამ რაკილა გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, საბოლოო ვერდიქტი ჩვენც ფინალის ბოლოსთვის შემოვინახოთ.

ეგ მით უფრო, რომ როდიკისთვის ტიტულის ახევას კორტის დონიდან ორი მეტრისა და 8 სანტიმეტრის ამთვლელი ხორვატი ივო კარლოვიჩი უნდა ცდილიყო. ეს ივო უკვე 26 წლის ოყლაყია, მაგრამ ჩვენ კლავიატურაზე გამორჩევით აკრეფის უფლება მხოლოდ იმის გამო მოიმკა, რომ ორი წლის წინათ უიმბლდონობის პირველ წრეში მაშინდელ ტიტულდამცველ ლეიტონ ჰიუიტს აჯობა. არც მანამდე და არც მერე ამქრის ეს უმაღლესი კაცი სხვა არაფრით გამორჩეულა და მხოლოდ ამ პარასკევს იყო, სამიმოხილვო ერთი აბზაცი იმავე ჰიუიტის მორიგი ძლევით რომ დაიმსახურა.

დიახ, ქუინზკლაბობის სამგზის (2000-02) ჩემპიონ კისკას ოზბიჯს, ვინაც ხანგრძლივი უთამაშებლობის შემდეგ საუიმბლდონო ფორმის აკრეფას სწორედ აქაურ ბალახზე ცდილობდა და თითქოს — არცთუ ურიგოდ, ათლავაშა ხორვატმა სულ მეორე სართულიდან უბაგუნა და 69 წუთში გადაუარა. მერე ის ასევე დასტურ მოერია მანამდე ჩინებულად მოსარჯე ტომას იოჰანსონს და კარიერის პირველ საეიტიპიო ფინალსაც უწია. კარლოვიჩის მთავარი იარაღი — გამომდინარე მისი სიმაღლიდან — ცხადია, რომ ტყლაშუნა მოწოდებაა, ხოლო, რამდენადაც როდიკის უმთავრესი თულფიც სწორედ ეგ გახლავთ, მათ დაპირისპირებაში უმჯობესი მოწოდების უკეთ მიმღები და უკანახაზიდან უფრო სტაბილურად მოხათქუნე უნდა გამომდგარიყო...

ისე კი შეგახსენებთ, რომ ზედიზედ სამჯერ სტელაარტუულ სანახებში ლეიტონ ჰიუიტის გარდა მხოლოდ ჯონ მაკინროის უმარჯვია. გამოუვიდა თუ არა ენდიბოის მათი წაბაძვა, ამაზე ხვალდილ წავიმუსაიფებთ.

ფინალი

როდიკი — კარლოვიჩი 7:6 (9:7) 7:6 (7:4)

DFS CLASSIC
ბირმინგემი. ბალახი. საპრიზო 200 ათასი $

მეოთხედფინალი

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 7:5 2:6 6:1; ელენა იანკოვიჩი (3, სცგ) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:2 6:4; ტატიანა გოლოვინი (5, საფრანგეთი) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 6:4 7:6 (7:3); ლაურა გრენვილი (აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4 6:3

ნახევარფინალი

შარაპოვა — გოლოვინი 7:5 6:1; იანკოვიჩი — გრენვილი 6:2 6:2

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

კიშინიოვი. მოლდოვა. 10-25 ივნისი

I ტური

ანა-კრისტინა კალოტესკუ (რუმინეთი) — ნანა ძაგნიძე (საქართველო)	0:1
მონიკა კალზეტა (ესპანეთი) — ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო)	0,5:0,5
ევგენია დოლუხანოვა (უკრაინა) — ლელა ჯავახიშვილი (საქართველო)	0:1
დოროტა კზარნოტა (პოლონეთი) — ნინო ხურციძე (საქართველო)	0:1
ანა შრებრნიჩი (სლოვენია) — მაია ლომინეიშვილი (საქართველო)	0,5:0,5
ევგენია მეშჩერიაკოვა (რუსეთი) — ანა მათნაძე (საქართველო)	0,5:0,5
მაკა ფურცელაძე (საქართველო) — სისარიოვა ელენა (მოლდოვა)	1:0
სოფიო გვეტაძე (საქართველო) — მიხაელ ლურასკუ (მოლდოვა)	1:0
ანასტასია ანტოშკივა (უკრაინა) — თამარ წერეთელი (საქართველო)	0:1



ნანა ძაგნიძე

ქართველებმა ცხრიდან ექვსი მოიგეს

ამ დღეებში მოლდავეთის დედაქალაქ კიშინოვში ევროპის ქალთა ჩემპიონატი დაიწყო, სადაც 29 ქვეყნის 177 სპორტსმენი მონაწილეობს. ჩემპიონატზე თავიდან 189 მოჭადრაკის განაცხადი იყო შესული, თუმც მოგვიანებით თორმეტმა უარი თქვა თამაშზე. მათ შორის გამოსარჩევია ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, რუსი ლამაზმანი ალექსანდრა კოსტენიუკი და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ქართველი მაია ჩიბურდანიძე. „სულ 189 მოჭადრაკის განაცხადი იყო შემოსული, თუმც რამდენიმემ უარი თქვა კიშინოვში ჩამოსვლაზე. ეს ალბათ გადატვირთული გრაფიკის ან ჩემპიონისთვის განკუთვნილი მცირე ჰონორარის — 7 ათასი დოლარის ბრალია — განაცხადა მოლდავეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ფიდორ სკრიპჩენკომ.

ჩემპიონატზე პირველი ტური ჩამთავრდა, რომელიც ქართველებისთვის წარმატებული გამოდგა. ცხრა ჩვენებურიდან ექვსმა შეძლო მეტოქის დამარცხება, სამმა კი ყაიმი ითამაშა.

ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ნანა ძაგნიძე 84-ე ნომრად დასახელებულ ანა-კრისტინა კალოტესკუს დაუპირისპირდა. დებიუტში მეტოქეებმა f ხაზზე გამოიყვანეს მხედრები. კალოტესკუ ძლიერ მეტოქესთან ფრთხილად შეუდგა თამაშს, მსუბუქი ფიგურები ხელმწიფის ფლანგისკენ გაუშვა და მე-6 სვლაზე როქი გააკეთა. ძაგნიძემ მარჯვენა ფლანგისკენ გადაიტანა ყურადღება, B7-ე უჯრაზე კუ სნაიპერივით დასვა და სამ სვლაში როქი თვითონაც გააკეთა. რუმინელი მოჭადრაკე წინ წასვლას არ ჩქარობდა, საკუთარ ტერიტორიაზე ავითარებდა ფიგურებს და მეტოქის შემოტევას ელოდა. მე-14 სვლაზე ქართველმა პაიკი მოიგო მეტოქეს და დიდი გაცვლებიც დაიწყო. თავიდან ძაგნიძემ მსუბუქი ფიგურებით დაარტყა თეთრ ჯარს, 25-ე სვლაზე კი სარბიელზე ლაზიერი გამოუშვა და პაიკი დაწინაურდა. ჩვენებურმა პაიკების გაყვანა დაიწყო. გზის გასასუფთავებლად მან ეტლი გაუშვა წინ, გაცვლებსაც უფრო თამამად შეუდგა და 47-ე სვლაზე პირველი გამარჯვება იზეიმა.

49 სვლა დასჭირდა ლელა ჯავახიშვილს ევგენია დოლუხანოვას დასამარცხებლად. ქართველმა სიცილიური დაცვით არჩია მეტოქესთან თამაში და თავიდანვე მცირე იერიშის მოგერიება მოუხდა. ჯავახიშვილი სტრატეგიის განვითარებას შეუდგა, შემდეგ კი მძიმე ძალებით დაარტყა მეტოქეს, თეთრების მეფე H1 კუთხეში ჩაიკეტა და კაპიტულაცია გამოაცხადებინა.

ლაშა გეგეჭკორი



კალოტესკუმ ძაგნიძესთან 47-ე სვლაზე თამაში შეწყვიტა

ერთა თასის 2005-2006 წლების გათამაშების პირველი წრე საქართველო-ჩეხეთის მატჩით დასრულდა. ბოლო ტურამდე სატურნირო ვითარება ისეთი იყო, ქართველ, პორტუგალიელ და რუმინელ მორაგბეებს გალიდერების ოცოქმის თანაბარი შანსი ჰქონდათ. ბორჯღალოსნებს გასალიდერებლად ჩეხების 61 ქულაზე მეტი სხვაობით დამარცხება სჭირდებოდათ. ქუთაისური მატჩის მთავარი ინტრიგაც ეს იყო.

მოსახდენი მოხდა. საქართველომ 75:10 იმარჯვა და „ტორპედოს" სტადიონის მინდორი გაჩარებული ხალხით გაივსო. მისალოცად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ჩავიდნენ, მანამდე კი, შესვენებაზე ევროპის ჩემპიონატის მომგები 20-წლამდელ მორაგბეთა საქართველოს ნაკრებიც დააფასეს.

ბადრი კეთილაძის *ფოტოები*

ერთა თასი 2005-2006. პირველი წრე

11 ივნისი

რუსეთი 75:0 უკრაინა

რუმინეთი 14:10 პორტუგალია

საქართველო	5	4	0	1	201-56	13
რუმინეთი	5	4	0	1	195-54	13
პორტუგალია	5	4	0	1	101-63	13
ჩეხეთი	5	2	0	3	90-144	9
რუსეთი	5	1	0	4	123-89	7
უკრაინა	5	0	0	5	11-315	5

საშუალედო ფინიში ქუთაისში: საქართველო პირველია!

ქუთაისი. 12 ივნისი. ლოკომოტივი. 18.00

საქართველო	75:10	ჩეხეთი
ოთარ ბარკალაია	15	ვიტა დოსედლა
გიორგი ელიზბარაშვილი	14	მიხალ შლანგერი
თედო ზიბზიბაძე	13	პაველ ვოკრუჰლიკი
ირაკლი გიორგაძე	12	მარტინ პეკარეკი
ირაკლი მაჩხანელი	11	ზდენეკ ჟაკი
მალხაზ ურჯუკაშვილი	10	მარტინ კაფკა
ბიძინა სამხარაძე	9	პაველ სიროვი
ბესიკ უდესიანი	8	მიროსლავ ნემეშეკი
რატი ურუშაძე	7	ლადისლავ ვონდრაშეკი
ილია მაისურაძე	6	იოჟეფ ვებერი
მამუკა გორგოძე	5	შტეპან ობრი
ილია ზედგინიძე	4	რობერტ ვოვესი
დავით ზერაქაშვილი	3	რომან შუსტერი
აქვსენტი გიორგაძე	2	ლუკაშ რაპანტი
გოდერძი შველიძე	1	ირჟი სკალი

სათადარიგოები

დავით გასვიანი	16	მიხაელ პრუშა
მიხეილ სუჯაშვილი	17	იან სუჩეკი
ლევან დათუნაშვილი	18	იან კუბალეკი
დავით ბოლღაშვილი	19	პეტრ ნიკფელდი
მერაბ კვირიკაშვილი	20	ვენიგერ ტომაში
ლაშა ფირფილაშვილი	21	იან რუდოლფი
თემურ სოხაძე	22	პეტრ ოკლეშტეკი

მსაჯი: მაურიციო მანჩინი (იტალია)

მცოცავი ანგარიში

0:3 — კაფკა საჯარიმო, 5:3 მაჩხანელი ლელო, 7:3 — ურჯუკაშვილი გარდასახვა, 10:3 — ურჯუკაშვილი საჯარიმო, 15:3 — შველიძე ლელო, 18:3 — ურჯუკაშვილი საჯარიმო, 23:3 — გორგოძე ლელო, 25:3 — ურჯუკაშვილი გარდასახვა, 30:3 — უდესიანი ლელო, 32:3 — ურჯუკაშვილი გარდასახვა, 37:3 — ურუშაძე ლელო, 42:3 — ზიბზიბაძე ლელო, 44:3 — ურჯუკაშვილი გარდასახვა, 49:3 — გორგოძე ლელო, 49:8 — ვონდრაშეკი ლელო, 49:10 — კაფკა გარდასახვა, 54:10 — გორგოძე ლელო, 56:10 — ურჯუკაშვილი გარდასახვა, 61:10 — ზედგინიჟე ლელო, 63:10 — ურჯუკაშვილი გარდასახვა, 68:10 — ზიბზიბაძე ლელო, 73:10 — კვირიკაშვილი ლელო, 75:10 — ურჯუკაშვილი გარდასახვა.

ბადრი კეთილაძის ფოტოები

საქართველოს ნაკრები:

1. ირაკლი გუნდიშვილი
2. ალექსანდრე ჭელიძე
3. გიორგი ჩხაიძე
4. გიორგი კაჭარავა
5. გიორგი შკინინი
6. ზვიად კობერიძე
7. პალიკო ჯიმშელაძე
8. გიორგი კობერიძე
9. ბადრი ხეხელაშვილი
10. ვახტანგ ახვლედიანი
11. ლექსო გუგავა
12. დავით ზაუტაშვილი

არაა ეს ხალხი დასაკარგი!

დაეხმარეთ შვიდკაცას

გაიოზ თალაკვაძე
პარიზიდან

დაწერთ, რასაც გეტყვით? — კითხვითვე მომმართა საქართველოს შვიდკაცა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა ლეჟავამ, როდესაც პარიზის ტურნირის შეფასება ვთხოვე:

— დავწერთ, როდის არ დაგვიწერია...

— მაშინ ყველამ იცოდეს, რომ თუ შვიდკაცა ოლიმპიური სახეობა გახდა, შეიძლება გავაგრძელო მუშაობა, სხვანაირად კი აღარ შემიძლია ასეთი დამოკიდებულების ატანა.

— რას გულისხმობთ?

— საქართველოში არავის უნდა შვიდკაცა. არავინ გვაქცევს ყურადღებას. მე ჩემ საქმეს შორტებში ვაკეთებ და ვინც შარვალ-კოსტუმში გამოწკეპილი მუშაობს, იმანაც უნდა შეიწუხოს თავი და თავისი საქმე წესიერად გააკეთოს. არანაირი ფინანსები, არანაირი ყურადღება, საერთოდ ფედერაციას, სპორტის სამინისტროს ახსოვთ თუ არა ჩვენი არსებობა, ისიც კი საკითხავია. არადა, დაპირებები კი იყო თავიდან. ასეთ მდგომარეობაში, ყოველგვარი მოსამზადებელი პერიოდის გარეშე, რასაც ამ ბიჭებმა მიაღწიეს აქ და რა თამაშიც აჩვენეს, სასწაულია. სხვას ვერაფერს დავამატებ.

***

ნამდვილად კარგად ითამაშეს ქართველებმა პარიზის შვიდკაცაზე, რომელიც „სტად ფრანსეს" სარბიელზე, „ჟან ბუენზე" ჩატარდა 10-11 ივნისს.

ჩვენები ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონ ფიჯის, სამხრეთ აფრიკას და ტუნისს დაუპირისპირდნენ. სამხრეთ აფრიკასთან 10:42 მარცხის მერე, კუნძულელებთან 0:33 წავაგეთ, მაგრამ ეს ძალიან მოულოდნელი არ იყო, რადგან შემდეგ ფიჯელებმა, მაგალითად, ავსტრალიელებს 49:5 გადაურბინეს. ჯგუფის ბოლო შეხვედრაში ტუნისელები 27:5 დავამარცხეთ და მეორე დღეს „ბოულის" მეოთხედფინალში „დ" ჯგუფის აუტსაიდერი რუსეთი ვირგუნეთ.

ტრადიციულ მეტოქესთან მშვენივრად ითამაშეს „ბორჯღალოსნებმა". პირველივე წუთზე ზვიად კობერიძემ გაიტანა ლელო, რასაც მანვე ტაიმის ბოლოს ერთიც მიამატა და პალიკო ჯიმშელაძის ლელოების შემდეგ 24:0 დავწინაურდით. ჩრდილოელმა მეზობლებმა, რომლების შებოჭვისას ქართველებს ერთი შეცდომაც არ დაუშვიათ, მხოლოდ მატჩის უკანასკნელ წუთზე მოახერხეს პრესტიჟის ლელოს გატანა.

ნახევარფინალში მეორე ტრადიციული მეტოქე, პორტუგალია გველოდა, რომელმაც მანამდე კენია დაამარცხა. ყველასთვის მოულოდნელად, ქართველებმა პირწმინდად დაჩაგრეს პირინეელები და ახვლედიანის (2), ზაუტაშვილის (2) და შკინინის ხუთი გარდაუსახავი ლელოთი აჯობეს.

ფინალში არგენტინა გველოდა, რომელიც აშკარად უკეთესად მომზადებული იყო. პირველ ტაიმში „პუმების" ლელოს ორჯერ კაჭარავამ ლელოთივე უპასუხა, მაგრამ გაცუდებული გარდასახვების გამო 10:14 ჩამოვრჩით. შესვენების შემდეგ სამხრეთამერიკელთა ტემპს ველარ გავუძელით და კიდევ ორი ლელო მივიღეთ, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ტურნირი წარმატებულად დავასრულეთ მეათე ადგილზე.



კლოდ სორელი

***

არგენტინელთა დაჯილდოებისას ტრიბუნებზე ძველი ნაცნობი შევამჩნიე და სახელდახელოდ გავესაუბრე კიდეც:

— ბატონო კლოდ, როგორ მოგეწონათ ჩვენი შვიდკაცა?

— სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, არ მეგონა თუ ასე კარგად ითამაშებდნენ, რადგან ეცი მათი პრობლემები და თან ბევრი ძალიან ახალგაზრდა და შედარებით გამოუცდელი ბიჭი გყავდათ. ჩემთან ერთად ვინც იდგა, ყველა აღფრთოვანებული იყო ქართველებით.

— დავანებოთ შვიდკაცას თავი. თქვენ რას საქმიანობთ? ისევ ტუნისელთა მწვრთნელი ხართ?

— არა, წამოვედი. ტუნისელებთან ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა და გავიდა ვადა.

— ახლა რას აპირებთ?

— ჯერჯერობით ვისვენებ და მალე ალბათ ისევ რომელიმე ქვეყნის ნაკრებს ჩავიბარებ.

— აფრიკაში დარჩებით?

— არაა გამორიცხული.

— წარმატებას გისურვებთ.

— გმადლობთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს შვიდკაცას, ღიდ ნაკრებს და საერთოდ მთელ საქართველოს წარმატება ვუსურვო. მშვენიერი წლები გავატარე თქვენთან და ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ასე ახლოს გაცნობა მოვახერხე.

***

დავუბრუნდეთ პარიზის ტურნირს, რომელიც ფრანგთა კამარჯვებით დასრულდა. ძალა ფინალში ყველასთვის მოულოდნელად ფიჯელი ჯადოქრების დამარცხება შეძლეს და პირველად გახდნენ ჩემპიონები.

შვიდკაცას დასრულების შემდეგ კი „ჟან ბუენზე" თავშეყრილი თითქმის მთელი მაყურებლები და რაგბის საზოგადოება „სტად დე ფრანსის" გზას დაადგა. იქ საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალი იყო პარიზის „სტად ფრანსეს" და ბიარიცის „ოლიმპიკს" შორის, მაგრამ ეს უკვე სხვა სტატიის თემაა.

შვიდკაცას კი გაოლიმპიურება ვუსურვოთ, რათა იქნებ მერე მაინც მიექცეს სათანადო ყურადღება საქართველოში და ბიჭებს, ზაზა ლეჟავას თამადობით, შიშველ ენთუზიაზმზე აღარ მოუწიოთ მუშაობა. ასეთ მდგომარეობაში რომ ასეთ კარგ შედეგებს აღწევენ, ცოტა მეტი ხელშეწყობით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, გაცილებით უკეთ გამოვლენ და საქართველოსაც მეტი საამაყო და სასიხარულო ექნება.



ავტორის *ფოტოები*

მაორებმა ლომი შეჭამეს

11 ივნისი. ჰამილტონი. ახალი ზელანდია

მაორები 19:13 ლომები

მაორები: ლ. მაკდონალდი, გირი, ტიპოკი, მაკალისტერი, რალფი; ჰილი, ვეეპუ; მაკ-დონალდი, ჰოლა, გიბსი (კაპ), ჰონეკი, ფილიპო, კარლ ჰეიმანი, ფლინი, მანუ

ალტერნატივები: ლინკლეიტერი, ფიკი, ბრაიდი, ორმონდი, მაკგრათი, სპენსერი, ბიუ

ბანაცვლება: ლ. მაკდონალდი; 1 გარდასახვა: მაკალისტერი; 4 საჯარიმო: ჰილი (2), მაკალისტერი (2)

ბრიტანელი და ირლანდიელი ლომები: ლიუსი, შალკინი, ოდრისკოლი (კაპ), დარი, უილიამსი, ჯონსი, დოუსონი; ოუენი, უილიამსი, ჰილი, ოკონელი, შოუ, ვაიტი, ჰოლმაონი, შერიდანი

ალტერნატივები: ბირნი, ჯენკინსი, კეი, ისტერბი, ჰილი, ოგარა, ჰორგანი

ბანაცვლება: ოდრისკოლი, 1 გარდასახვა: ჯონსი; 2 საჯარიმო: ჯონსი

ახალ ზელანდიაში ორი გაბარ[illegible] ნდირონსანია მიერ მაორთა ქვეყნის იმპერიასთან შერწყმის პროცესი.

ოღონდ ამჯერად ბრიტანეთი წაგებული გამოვიდა. „მაორებმა“ ისტორიაში პირველად დაამარცხეს „ლომები“ და, ერთხელაც ვთქვათ, გვარიანადაც გაიხარეს.

ულელო და 6:6 დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ „ლომები“ რამდენჯერმე გადაურჩნენ დამხვდურებს. „მაორებს“ პირველი ტაიმის ბოლოსაც ჰქონდათ უპირატესობა, როცა აშკარა უხეშობისთვის და ყველას დასანახად მუშტის ქნევისთვის მსაჯმა „ლომების“ ინგლისელი ბურვი, უზარმაზარი ენდრიუ შერიდანი გაასინჯინა „მაორებს“ შეეძლოთ, ვოლით მისწოლილიდნენ მეჯოქის 7-ეკვადრატულ შერკინებას, მაგრამ ზედ მათ სალელოვე ხაზამდე მისულებმა შერკინებას აუტი არჩიეს და ბურთიც დაკარგეს. 38-ე წუთზე კი პირველი ლელოც გამოცხვა. ახალი ზელანდიის და ზე-12-ის ჩემპიონმა „კრუზეიდერსის“ მცველმა ლეონ მაკდონალდმა სამი ლომის ბრჭყალებს აარიდა თავი და ლელოში შექანდა.

მაღე „მაორები“ 19:6 დაწინაურდნენ და ერთადერთი, რაც ბრიტებმა მოახერხეს, მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გატანილი პრესტიჟის ლელო გახლდათ.

კოტე ყორშია

კრივი

ცხოველი აღარ ვარ და ნავედი ტაისონმა კვლავ წააგო

[illegible] ნდის წინ შეწყვიტა და ირლანდიელს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიენიჭა.

„ჩხუბს აღარ ვაპირებ“ — თქვა ტაისონმა ბრძოლის შემდეგ. „გულში მოკრივისა აღარაფერი მაქვს“. 39 წლის ტაისონს კარიერაში 50 ბრძოლა აქვს მოგებული, აქედან 44 ნოკაუტით, 6-ჯერ წაუგია და ორი უშედეგოდ დაუმთავრებია.

„რინგზე მხოლოდ იმიტომ გამოვედი, რომ გადასახადებისთვის ფული მჭირდებოდა. ცხოველი აღარ ვარ“ — განმარტა მაიკმა.

რეფერიმ კორტესმა კი მაშინ შეწყვიტა ბრძოლა, როცა მეექვსე რაუნდის მიწურულს წაქცეული ტაისონი შესვენებისას ბანცალით წავიდა თავისი კუთხისკენ და მისმა მწვრთნელმა ჯეფ ფენეჩმა მოითხოვა შეწვეტა.

„ეს გამარჯვება ირლანდიის სიამაყეა“, ხარობდა მაკბრაიდი.

თავად ბრძოლისას კი ტაისონს ორი ქულა ჩამოერთვა იმავე მეექვსე რაუნდში, აკრძალული ოაკურისთვის, რითაც მაკბრაიდს მარცხენა თვალქვეშ სისხლი გამოუჩნდა. იმავე მეექვსე რაუნდში ტაისონი დიდხანს იყო მიმწყვდეული ოოკენბთან, მერე კი მაკბრაიდმა ძირს დააგდო. ვონგს ტაისონი ფიცარნაგზე მჯდომი შეეგება.

ბრძოლის შეწყვეტისას ორი დამთვლელი მსაჯის ჭაღალდებში ტაისონი ქულებით იგებდა, ერთისაში კი მაკბრაიდი იყო წინ.



AFP ფოტოგრაფიდან

კიმი რაიკონენი პოდიუმის კენწეროს გაუშინაურდა

მონრეალის ტრასა გაყვანილია წმინდა ლავრენტის მდინარეში ხელოვნურად შექმნილ პატარა კუნძულზე. კოხტა ავტოდრომს თავიდან კუნძულის სახელი, „ნოტრ დამის წრე“ ერქვა.

იქ პირველი რბოლა 1978 წელს ლეგენდარულმა კანადელმა ჟილ ვილნევვმა („ფერარი“) მოიგო. ჟილი ოთხი წლის შემდეგ ბელგიაში ზოლდერის ტრასაზე დაიღუპა და მონრეალის ავტოდრომსაც მისი სახელი ეწოდა.

4,361-კილომეტრიანი წრე ფორმულის ამჟამინდელ ტრეკებს შორის ლამის ყველაზე მოკლე და საშუალოდ ჩქაროსნულია. წლევანდელი რბოლისთვის ასფალტის საფარი განაახლეს, ამდენად, სისწრაფე უფრო შემცირდა.

კვალიფიკაციის მომგებ ჯენსონ ბატონის დრო რალფ შუმახერის შარშანდელ სარეკორდო შედეგზე სამი წამით(!) უარესი იყო. 25 წლის ბატონის 90-ეტაპიან კარიერაში ეს მხოლოდ მეორე პოულია. მისი საშაბათო წარმატება იმითაც აიხსნება, რომ „ჰონდამ“ BAR-ებს ახალი, უფრო ჯანიანი ძრავები ჩაუყენა. მონრეალში კი არის ერთი-ორი გრძელი სწორი მონაკვეთი, სადაც გადამწყვეტი ძრავის სიმძლავრეა.

მიხაელ შუმახერმა წლეულს თავისი საუკეთესო, მეორე შედეგი გაიმეორა და მისი მილიონობით ფანებიც გახალისდნენ რბოლაში წარმატების იმედით. შუმის მეწყვილე რუბენს ბარიკელოს ბედაურმა უმტყუნა — „ფერარიმ“ გასახურებელ წრეზე ბოლი გაუშვა და ბრაზილიელს ჩასათვლელი ცდა არც დაუწყია. ბუნებრივია, გუშინ რბოლაში ქარავანის ბოლოდან ჩაება.

მეორე სასტარტო რიგში ჩემპიონატის უპირობო ლიდერი ფერნანდო ალონსო და

AFP ფოტოსურათიდან

კიმი რაიკონენს გვერდი ფერარელებმა დაუშვენეს

მისი თანარენოელი ჯანკარლო ფიზიკელა მოკალათდნენ. სეზონში სამი პოულის მომგები კიმი რაიკონენი ამჯერად მხოლოდ მეშვიდე პოზიციაზე იდგა, რაც ეტყობა, ბლომად საწვავის გამო მოხდა.

მამის სახელობის ტრასაზე ერთხელაც ვერ გაუმარჯვია მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონ ჟაკ ვილნევს. გუშინდელი გაჯირითება მისთვის მეცხრე იყო და მორიგი ხელმოცარვით დასრულდა. ჟაკის მიღწევად ერთადერთი, ისიც ცხრა წლის წინანდელი მეორე ადგილი რჩება, შვიდჯერ კი ფინიშამდე ვერ მიაღწია.

მორიგი როქი მოხდა „რედ ბულ რეისინგში“. ზედიზედ ოთხი რბოლის შემდეგ იტალიელ ახალბედა ვიტანტონიო ლიუცის ნაცვლად ასევე ოთხჯერ გაიჯირითებს ავსტრიელი კრისტიან კლიენი, მერე ისევ ლიუცი. შეგახსენებთ, საწყის სამ ეტაპზე საჭეს კლიენი უჯდა. ეს მონაცვლეობა სეზონის დაწყებამდე დაიგეგმა.

კანადაში გამგზავრების წინ სამსახური დატოვა „ჯორდანის“ სპორტულმა დირექტორმა ტრევორ კარლინმა. გადადგომის ოფიციალური მიზეზი უცნობია. ვაკანტური პოსტი დროებით შეითავსა საჯინიბოს მენეჯერმა ედრიან ბერჯესმა. ამით მაჩანჩალებს ჯერჯერობით ვერაფერი ეშველათ — ტიაგო მონტეიროს და ნარაინ კარტიკეიანი გუშინაც მშრალზე დარჩნენ.

გამწვანებულია ვითარება „BMW — უილიამსში“. წლევანდელ წარუმატებლობაში ორივე ფირმა ერთმანეთს ადანაშაულებს. ოღონდ გუნდის ბოსი სერ ფრენკ უილიამსი უკმაყოფილოა იმით, რომ გერმანელი მეძრავეები ამას საქვეყნოდ აცხადებენ — ჩვენც გვაქვს მათ მიმართ პრეტენზია, მაგრამ საჯაროდ არ ყყვირითო.

უილიამსელები გუშინ მაქსიმალურად შეეცადნენ შარშანდელი კანადური სკანდალისთვის რეაბილიტაცია. მაშინ რბოლისშემდგომ შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რალფ შუმახერის და ხუან-პაბლო მონტოიას მანქანებს მუხრუჭების გასაგრილებელი ჰაერმიმღებები დასაშვებზე დიდი ზომის ჰქონდათ, რის [illegible] დეგი გაუქმდა. განსაკუთრებით [illegible] მიმ იზარალა, რომელსაც საჭეზე [illegible] ლო რვა ქულა ჩამოართვეს. ხუანმა ოთხი ქულა დაკარგა.

„ჟილ ვილნევზე“ მოკლე სასტარტო წრეა და პილოტების დაძვრისთანავე, სასიოდ წამში დამუხრუჭება უწევთ პირველი მოსახვევის წინ. ამდენად, ჰელოტონში დიდი გადაადგილება არ ესწრება, შეჯახება კი თითქმის გარდაუვალია.

გუშინ პირიქით მოხდა, შეხლა-შემოხლა თავიდან აიცილეს, ხოლო ფიზიკელა [illegible] ალონსო ისე დაფეთებულები მოწყდ[illegible] ადგილს, რომ ბარიჩელოსაც და მიხაელ[illegible] ადგილად აუარეს ჯვარედინ ის კი არა, [illegible] რტზე შეეფეთებოდა შუმის მოსეილი [illegible] რაიკონენმაც გაისწრეს და შეიჯახა [illegible] ონი მეექვსე პოზიციაზე ჩამოვარდა.

ლიდერობა ფიზიკელამ იგდო ხელში, შ[illegible] მდეგ მიდიოდნენ ალონსო, ბარიჩელ[illegible] ტოია, რაიკონენი, შუმახერი, ტრული. სა[illegible] ტო. 12 წრე ამ ჩასათვლელ რეკორდ[illegible] ლილება არ მომხდარა, მერე კი დაიწ[illegible]

ძალიან საინტერესო და იმავდროულ[illegible] უცნაური რბოლა ვამოვიდა პოლესტა[illegible] ვავისთვის ყველაზე ადრე მიხაელმა [illegible] კითხა და ტრასაზე მე-12 დაბრუნდა. [illegible] გრამ საკუთარი ოსტატობისა და [illegible] ბედის წყალობით ფინიშთან მეორე [illegible] და. ბედი კი იმაში დაეხმარა, რომ რაიკ[illegible] ნენის გარდა ყველა წინმეფიფი რბოლის გამოეთიშა.

ფიზიკელას „რენომ“ სახელგანო[illegible] გაიარა, ისე განუცვლელი სიჩქ[illegible] წუთში ალოსსომ და ბარიჩელ[illegible] მოსახვევში ბარიჩელოს მიახელ[illegible] ის შეტაკების უკან [illegible] გასწრებისთვის [illegible] ლიფიკაციო შაკი დროზე [illegible] იკონენმა ბოლომდე ნინებელად [illegible] წინავეობა და წლეულს უკვე [illegible] დი პრიზი მოიგო.

გმირულად იბრძოლა ბარიჩელომ [illegible] ლდოდ პოდიუმზე შედგომაც [illegible] რუბინოის სხვებისგან განსხვავებული [illegible] პიტსტოპიანი რაქტიკა ჰქონია და [illegible] სურველი შედეგიც მოუტანა.

გია ახალაძე



რბოლის შედეგები

კანადის დიდი პრიზი
12 ივნისი. მონრეალი

დისტანცია 70 წრე — 305,270კმ

1.	(7)	რაიკონენი (მაკლარენი)	1:32.09,3 (198,8კმ/სთ)
2.	(2)	მ.შუმახერი (ფერარი)	ჩამორჩა 1,1
3.	(20)	ბარიჩელო (ფერარი)	40,5
4.	(11)	მასა (ზაუბერი)	55,1
5.	(14)	ვებერი (უილიამსი)	55,8
6.	(10)	რ.შუმახერი (ტოიოტა)	1 წრით
7.	(12)	კულჰარდი (რედ ბული)	1 წრით
8.	(16)	კლიენი (რედ ბული)	1 წრით
9.	(8)	კოლნეკი (ზაუბერი)	1 წრით
10.	(18)	მონტეირო (ჯორდანი)	3 წრით
11.	(15)	ალბერსი (მინარდი)	3 წრით
		რბოლას გამოეთიშნენ	
	(9)	ტრული (ტოიოტა)	გაიარა 62 წრე
	(5)	მონტოია (მაკლარენი)	52
	(1)	ბატონი (B.A.R)	46
	(13)	ჰაიდფელდი (უილიამსი)	43
	(6)	სატო (B.A.R)	40
	(19)	ფრიზბერი (მინარდი)	39
	(3)	ალონსო (რენო)	38
	(4)	ფიზიკელა (რენო)	32
	(17)	კარტიკეიანი (ჯორდანი)	24

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
ბატონი — 1:15,217 (208,7კმ/სთ)

საუკეთესო წრე
რაიკონენი — 1:14,384 (211,1 კმ/სთ)

	ბაჰრეინი 6 მარტი	მალაიზია 20 მარტი	ბაჰრეინი 3 აპრილი	სან მარინო 24 აპრილი	ესპანეთი 8 მაისი	მონაკო 22 მაისი	ევროპა 29 მაისი	კანადა 12 ივნისი	აშშ 19 ივნისი	საფრანგეთი 3 ივლისი	ინგლისი 10 ივლისი	შვეიცარია 24 ივლისი	შვეიცარია 31 ივლისი	თურქეთი 21 აგვისტო	იტალია 4 სექტემბერი	belgium 11 სექტემბერი	ბრაზილია 25 სექტემბერი	იაპონია 9 ოქტომბერი	ჩინეთი 16 ოქტომბერი	ჯამი
1 ალონსო, რენო, ესპანეთი	6	10	10	10	8	5	10	–												59
2 რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი	1	–	6	–	10	10	–	10												37
3 ტრული, ტოიოტა, იტალია	–	8	8	4	6	–	1	–												27
4 ჰაიდფელდი, უილიამსი, გერმანია	–	6	–	3	–	8	8	–												25
5 მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია	–	2	–	8	–	2	4	8												24
6 ვებერი, უილიამსი, ავსტრალია	4	–	3	2	3	6	–	4												22
7 ბარიჩელო, ფერარი, ბრაზილია	8	–	–	–	–	1	6	6												21
8 რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია	–	4	5	–	5	3	–	3												20
9 ფიზიკელა, რენო, იტალია	10	–	–	–	4	–	3	–												17
10 კულჰარდი, რედ ბული, დ. ბრიტანეთი	5	3	1	–	1	–	5	2												17
მონტოია — 16, მასა — 7, ვურცი (მაკლარენი)— 6, ვოლნეკი — 5, დე ლა როსა (მაკლარენი) — 4, კლიენი (რედ ბული) — 4, ლიუცი —1 ქულა																				
1 რენო	16	10	10	10	12	5	13	–												76
2 მაკლარენი	4	5	10	6	12	14	2	10												63
3 ტოიოტა	–	12	13	4	11	3	1	3												47
4 უილიამსი	4	6	3	5	3	14	8	4												47
5 ფერარი	8	2	–	8	–	3	10	14												45
რედ ბული — 22, ზაუბერი — 12 ქულა																				

ალი და ალი

ლეილა ალი კვლავაც ჩემპიონია. ქალთა სუპერსაშუალო წონის ქამართა გამაერთიანებელ ბრძოლაში მან ირინ თაგპილი დაამარცხა. ეს ვაშინგტონში იყო, ემსიაი სენთერში. ბრძოლას თვით მუჰამედ ალი ესწრებოდა, რომელმაც შვილს პირველმა მიულოცა.



AFP ვაშინგტონიდან

საუდამოდ

ჯადო ჯოხეხი ძველი კოპულია, ხვირინგი კი გულისხმიერნე ახალია. „2005, 25 მაისი ისთანბულია, ჩვენი ხამუდამოდ". დიახ, ლიგერპულმა მოგო ეს ოხი და ძიერცმაც ხვირინგი არ დაინანა. ჩემპიონთა ეს ოხი კი მართლაც ხამუდამოდ ლიგერპულში დარჩება: უეფას წესია ხუთჯერ ამღებს ოხი რჩება, ხავაიხოდ კი ახალს ამზადებენ.



AFP ლივერპულიდან



AFP მოსკოვიდან

სლოვაკი ლუცია ვასკოვა თავისი ბურთით, მხატვრული ტანვარჯიშის მსოფლიოს ჩემპიონატზე. გრაცია და სპორტი მოსკოვის ფიცარნაგზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია პაპუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოპა ინასარიძე, ილიანანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეაშვილი, ლალი ხოჭერიკი, ვაჟა ხეჯეშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კულაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge